პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

# კომუნისტი

საქართველოს კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის, თბილისის კომიტეტისა და საქართველოს სსრ მშრომელთა დეპუტატების საბჭოების ორგანო

КОМУНИСТИ — ОРГАН ЦК и ТК КП ГРУЗИИ и СОВЕТОВ ДЕПУТАТОВ ТРУДЯЩИХСЯ ГРУЗИНСКОЙ ССР

გამოცემის 39-ე წელი | № 268 (11574) | შაბათი, 17 ნოემბერი, 1959 წ. | ფასი 20 კაპ.

ეროვნული ბიბლიოთეკა

# პარტია მოგვიწოდებს, ხალხი უპასუხებს: შევასრულებთ!

## სკკპ ცენტრალური კომიტეტის პლენუმისა და საქართველოს კპ XX ყრილობის შესახვედრად

★ ★ ★ ★

## ციტრუსოვანთა მეურნეობა ჩვენი სიამაყეა

ჩვენი რესპუბლიკის სასოფლო-სამეურნეო წარმოებაში მნიშვნელოვანი ადგილი უჭირავს ციტრუსოვანთა მეურნეობას. მანდარინი, ფორთოხალი, ლიმონი — მთელი ჩვენი ქვეყნის მშრომელთა სუფრის მშვენებაა. ამიტომ პარტია და მთავრობა შეუნელებლად ზრუნავენ ციტრუსოვანთა მეურნეობის შემდგომი აღმავლობისათვის. საქართველო აწარმოებს ისეთ ძვირფას სასოფლო-სამეურნეო პროდუქტებს, რომლებსაც საკავშირო მნიშვნელობა აქვთ.

ქართული ჩაი და ღვინო, თამბაქო და ციტრუსები, ხილი ჩვენი რესპუბლიკის სოფლის მეურნეობის სიამაყეა. მათი წარმოების მნიშვნელოვანი ზრდის საკითხები საქართველოს მშრომელთა, პარტიული და საბჭოთა ორგანიზაციების ყურადღების ცენტრშია. შვიდწლედის მანძილზე მკვეთრად გადიდდება ციტრუსოვანთა პლანტაციების ფართობები და მოსავლიანობა იმ ანგარიშით, რომ 1965 წლისათვის ქვეყანას მივცეთ ერთი მილიარდი ცალი ციტრუსოვანთა ნაყოფი.

ახლა ჩვენი მეციტრუსეების, ადგილობრივი პარტიული და საბჭოთა ორგანიზაციების საბრძოლო ამოცანაა შვიდწლედის პირველ წელს წარმატებით შეასრულონ ნაკისრი ვალდებულება — სამშობლოს მისცენ სულ მცირე 600 მილიონი ცალი ციტრუსოვანთა ნაყოფი. სწორედ ამ დღეებში წყდება ამ ვალდებულების შესრულების ბედი. უკვე გაჩაღდა ნაყოფის კრეფა-გადამუშავება. დიდი შრომა, ორგანიზებული მუშაობა დასჭირდებათ აჭარელ მეციტრუსეებს, რომლებმაც წელს უნდა მოკრიფონ 400 მილიონი ცალი მანდარინი, ფორთოხალი, ლიმონი. ასევე დიდი მუშაობა მოუხდებათ აფხაზეთის მეციტრუსეებს. მათ სახელმწიფოს უნდა მიჰყიდონ 3.430 ტონა მანდარინი, 630 ტონა ფორთოხალი და ექვს მილიონ ცალზე მეტი ლიმონი, ხოლო მახარაძელი მეციტრუსეები, რომლებიც ყოველწლიურად ზრდიან მოსავლიანობას, იბრძვიან 75 მილიონი ცალი ციტრუსოვანთა ნაყოფის მიღებისათვის.

ეს ვალდებულება წარმატებით რომ შესრულდეს, საჭიროა გონივრულად გამოვიყენოთ ყოველი დღე და საათიც კი, დროულად მოვაწყოთ ნაყოფის კრეფა, არ დავუშვათ ხარისხის გაუარესება, ორგანიზებულად გადავზიდოთ მოკრეფილი ციტრუსები შემფუთავ ქარხნებსა და პავილიონებში, ყოველი ღონისძიებით უზრუნველვყოთ ნაყოფის გაგზავნა დანიშნულებისამებრ, სასტიკი ბრძოლა გამოვუცხადოთ ციტრუსოვანთა ნაყოფის დამტაცებლებს. აი რა არის ადგილობრივი პარტიული და საბჭოთა ორგანიზაციების საბრძოლო ამოცანა.

მაგრამ რედაქციაში შემოსული სიგნალები მოწმობენ, რომ ყველგან როდი გვაქვს დამაკმაყოფილებელი მდგომარეობა. ბევრგან მოუმზადებელი შეხვდნენ ციტრუსოვანთა ნაყოფის კრეფა-გადამუშავებას. მაგალითისათვის შეიძლება დავასახელოთ აფხაზკოოპკავშირის დრანდის შემფუთავი ქარხანა. აქ წესრიგზე არ არის ელექტროგაყვანილობა, მუშათა საცხოვრებელ სახლებში წვიმა ჩამოდის. ყველაფერი რიგზე როდია რკინიგზის სოხუმის, კელასურის, დრანდის, ეშერის, ათონის სადგურებზე, რომელთა მოქნილ მუშაობაზე მნიშვნელოვანწილად არის დამოკიდებული ციტრუსოვანთა ნაყოფის დროული ტრანსპორტირება.

ხობის რაიონის ხეთის, ხამისკურის და პირველი მაისის კოლმეურნეობები ციტრუსოვანთა უხვ მოსავალს იღებენ. შვიდწლედში კი ერთიორად გადიდდება მოსავლიანობა. ამიტომ იყო, რომ სოფელ ხეთაში დაგეგმეს ციტრუსების გადასამუშავებელი პავილიონის მშენებლობა. მაგრამ არც ცეკავშირს და არც ადგილობრივ ორგანიზაციებს სერიოზული ნაბიჯები არ გადაუდგამთ ამ საქმის მოგვარებისათვის. უფრო მეტი: წელს ცეკავშირმა დამზადების ხობის კანტორას გაუგზავნა 8.000 ცალზე მეტი ყუთი. ისინი უვარგისი აღმოჩნდა და დღესაც საწყობის უკან ყრია. განა ეს შესაწყნარებელია?

დადგა ციტრუსოვანთა ნაყოფის კრეფა-გადამუშავების გადამწყვეტი დღეები. ჩვენს მეციტრუსეებს უნდა ახსოვდეთ, რომ ციტრუსების კრეფის ვადები დამოკიდებულია კულტურაზე, ჯიშზე და ნაყოფის გამოყენების პირობებზე. პირველ ხანებში კრეფა იწყება შერჩევით. მანდარინი უნდა მოიკრიფოს მაშინ, როცა მისი კანის ზედაპირის ორი მესამედი ნაწილი გაყვითლდება. ლიმონი იკრიფება მაშინ, როცა ნაყოფის სიმსხო 6 სანტიმეტრს მიაღწევს და კანის ზედაპირი გაყვითლებას იწყებს. ფორთოხლის კრეფა წარმოებს სრული გაყვითლების შემდეგ. აუცილებელია ზუსტად დავიცვათ კრეფის წესები. სპეციალური მაკრატლით ყუნწი უნდა მოიჭრას რაც შეიძლება დაბლა და გადანაჭერი გაუსწორდეს ნაყოფის ზედაპირს, მოკრეფილი ნაყოფი ფრთხილად ჩაიწყოს კალათში და დროულად გაიგზავნოს პავილიონში.

სასიხარულო და საამაყოა ჩვენი რესპუბლიკის მრავალდარგოვანი სოფლის მეურნეობის მშრომელთა მიღწევები, რომლებიც მოპოვებულია პარტიის XXI ყრილობის ისტორიულ გადაწყვეტილებათა განხორციელებისათვის ბრძოლაში. ეს წარმატებანი კვლავაც უფრო უნდა ვამრავლოთ, რათა ახალი გამარჯვებებით შევხვდეთ სკკპ ცენტრალური კომიტეტის მომავალ პლენუმს, რომელიც მიმდინარე წლის 22 დეკემბერს გაიმართება.

ეჭვი არ არის, რომ საქართველოს სოფლის მეურნეობის მშრომელთა შემოქმედებით ბრძოლაში ჩვენი სახელოვანი მეციტრუსეები თავიანთ ღირსეულ წვლილს შეიტანენ და სამშობლოს მისცემენ რაც შეიძლება მეტსა და მაღალხარისხოვან ციტრუსოვანთა ნაყოფს, ამთავითვე გააჩაღებენ ენერგიულ შრომას შვიდწლედში ციტრუსოვანთა მეურნეობის შემდგომი მძლავრი აღმავლობისათვის.

## მისალმება ტაჯიკეთის მებამბეებისადმი

საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის ცენტრალურმა კომიტეტმა და სსრ კავშირის მინისტრთა საბჭომ ტაჯიკეთის კომუნისტური პარტიის ცენტრალურ კომიტეტსა და ტაჯიკეთის სსრ მინისტრთა საბჭოს გაუგზავნეს მისალმება, რომელშიც მხურვალედ ულოცავენ ტაჯიკეთის სსრ ყველა მშრომელს შესანიშნავ წარმატებებს, რომლებიც მოიპოვა რესპუბლიკამ შვიდწლედის პირველ წელს სოფლის მეურნეობის განვითარებაში, და სახელმწიფოსათვის ბამბის მიყიდვის ვალდებულების შესრულებაში.

ტაჯიკეთის კოლმეურნეობებმა და საბჭოთა მეურნეობებმა სახელმწიფოს სულ მიჰყიდეს 470 ათასი ტონა ბამბა, აქედან 20 ათასი ტონა გეგმის გადამეტებით. ნედლი ბამბის საერთო რაოდენობიდან 162 ათასი ტონა მიყიდულია ნაზბოჭკოიანი ბამბა. (საკდესი).

არტილერიის დღის წინ

## საბჭოთა არმიის ცენტრალურ მუზეუმში

ამ დღეებში, როცა საბჭოთა ხალხი და მისი შეიარაღებული ძალები ემზადებიან, რათა ზეიმით აღნიშნონ არტილერიის დღე, დიდი გამოცოცხლებაა საბჭოთა არმიის ცენტრალურ მუზეუმში. მის დარბაზებში ექსკურსანტები ეცნობიან საბჭოთა არმიისა და სამხედრო-საზღვაო ფლოტის საბრძოლო დიდების მრავალ რელიქვიას.

ცალკეული ექსპონატები, სურათები, ფოტოსურათები და დოკუმენტები მიძღვნილია საბჭოთა არტილერიის წარმოშობისადმი, უკვდავი სამხედრო საქმეებისადმი, რომლებიც სამოქალაქო ომისა და დიდი სამამულო ომის წლებში ჩაიდინეს არტილერისტებმა.

15 ნოემბერს გამარჯვების დროშასთან, რომელიც აღმართულია ერთ-ერთ დარბაზში, გაიმართა მოსკოვის გარნიზონის ჯარისკაცთა, სერჟანტთა და ოფიცერთა შეხვედრა საბჭოთა კავშირის გმირთან ა. ი. პეშკოვთან. მან სამშობლოს ახალგაზრდა დამცველებს გააცნო სამამულო არტილერიის სახელოვანი ისტორია, ილაპარაკა საარტილერიო ნაწილებისა და ქვეგანაყოფების მონაწილეობაზე ჰიტლერელთა ჯარების განადგურებაში მოსკოვთან, სტალინგრადთან, ლენინგრადთან, ორიოლთან, კურსკთან, ოდესასა და სევასტოპოლთან, ბერლინის შტურმში მონაწილეობაზე.

დასასრულ ამხ. პეშკოვმა თქვა, რომ არტილერიის დღე აღინიშნება 19 ნოემბერს — იმ დღეს, როცა 1942 წელს ჩვენი არტილერიის მძლავრი დარტყმით დაიწყო საბჭოთა ჯარების ძლევამოსილი შეტევა სტალინგრადთან. ეს ისტორიული შეტევა, რომელიც დამთავრდა ფაშისტ დამპყრობთა დიდი დაჯგუფების გარშემორტყმით და განადგურებით, გარდატეხის მომენტი გახდა დიდი სამამულო ომის მსვლელობაში. (საკდესი).

## ამ დღეებში

ქარელში შვიდწლედის პირველი წლის შემოდგომაა. მოზღვავდა უხვი მოსავალი. ბეღლებსა და ქვევრებს ავსებს კოლმეურნეთა მადლიანი მარჯვენის ნაამაგარი.

მღერიან სიმინდის ყანებს შესეული კოლმეურნეები. მარჯვენას უქებენ მთესველსა და მომყვანს! საქები და სასიმღერო მართლაც აქვთ სატრაქტორო ბრიგადის წევრებს და თვით ბრიგადირს გიორგი სიხაშვილს. მათმა შრომის ბარაქამ ყველა გაახარა.

...მაშინ გაზაფხულზე, როცა გიორგი სიხაშვილი უკრაინელი თანამოსაქმის გიტალოვის მდიდარ გამოცდილებას თავისი კოლმეურნეობის მიწაზე ნერგავდა, ბევრს ეჭვიც ეპარებოდა, შეძლებდა თუ ვერა იგი პირობის შესრულებას. მისი ვალდებულება კი ასეთი იყო: კომპლექსური მექანიზაციით 100 ჰექტარზე კვადრატულ-ბუდობრივად დაეთესა სიმინდი, ჰექტარზე მიეღო 30 ცენტნერი მარცვლად, ხოლო 300 ცენტნერი მწვანე მასა.

სიტყვა არ გაუტეხია პატრიოტული საქმის თაოსანს. მუყაითი შრომით სასახელო შედეგს მიაღწია. კვადრატებში აღმოცენებულმა სიმინდმა საუკეთესოდ გაიხარა. ფვითეულმა ძირმა 3-4 ტარო გაიკეთა და ჰექტარზე მოსავალმა 50 ცენტნერს გადააჭარბა. შარშანდელთან შედარებით სიმინდის მოსავლიანობა ორნახევარჯერ გადიდდა.

საუკეთესოდ მოვლილმა სიმინდის ნათესებმა კარგი შედეგიც მისცა კოლმეურნეობას. უკვე ჩადეს 21 ათასი ცენტნერი სილოსი და ამით მტკიცე საკვები ბაზა შეუქმნეს კოლმეურნეობას. სუქებაზე დააყენეს 130 ღორი.

დიდი წარმატებებია მიღწეული მებოსტნეობაშიც. აღებულია 37 ჰექტარი ბოსტნეული და გეგმა 300 პროცენტით არის შესრულებული. ბოსტნეულით მიღებულმა შემოსავალმა 800 ათას მანეთს გადააჭარბა. მარტო სახელმწიფოსათვის თესლის ჩაბარებით არტელმა ნახევარ მილიონ მანეთზე მეტი შემოსავალი მიიღო.

26 ათასი ცენტნერი ჭარხალი! ეს გეგმა შესრულებულია. ახლა კოლმეურნეები გეგმის გადამეტებით იღებენ შაქრის ჭარხლის მოსავალს. მოწინავე მეჭარხლეების ა. ივანიძის, ვ. კუტუბიძის, ალ. ქოქოევის, მ. ვარძელაშვილის, ე. აბაშიშვილის და სხვების თავდადებული შრომა შაქრის ჭარხლის უხვი მოსავლის საწინდარია.

...იზრდება კოლმეურნეობის შემოსავალი, მატულობს ხვავი და ბარაქა. კოლმეურნეებმა შრომადღეზე უკვე მიიღეს 5 კილოგრამი მარცვლეული და 7 მანეთი ფულად.

მომავალში ქარელის კოლმეურნეობა კიდევ უფრო გაზრდის სიმინდის ნათესებს. 240 ჰექტარზე კვადრატულ-ბუდობრივად დაითესება სიმინდის ჰიბრიდული თესლი. დამატებით 30 ჰექტარზე გაშენდება ვაშლის ბაღი, ერთიორად გაიზრდება ბოსტნეულის ნათესები და სხვ.

ქარელელი კოლმეურნეები სასახელო შრომის შედეგებს უპატაკებენ საყვარელ სამშობლოს. სახელმწიფოს მათ უკვე ჩააბარეს 140 ტონა ხარისხოვანი ვაშლი, მთლიანად შეასრულეს ხორცის ჩაბარების გეგმა, რაიონის მშრომელებს მიჰყიდეს ასობით ფრთა ქათამი და სხვ. მექანიზატორებმა ერთი წუთითაც არ მოაცდინეს მიწა. მზრალად უკვე მოხნულია 208 ჰექტარი, 200 ჰექტარზე დათესილია საშემოდგომო ხორბალი.

დღეს ყოველ ბრიგადას, რგოლს, თვითეულ კოლმეურნეს ერთი მიზანი ამოძრავებს: წარმატებით დაამთავრონ სამეურნეო წელი და სახელოვნად შეხვდნენ საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის პლენუმსა და საქართველოს კომუნისტური პარტიის XX ყრილობას.

მ. ინასარიძე.

## მილიონს ემატება მილიონი

აჭარის სამრეწველო საწარმოთა კოლექტივები ახალი შრომითი აღმავლობით შეხვდნენ თბილისელ ელმავალმშენებელთა და ორთქლმავალ-ვაგონშემკეთებელთა პატრიოტულ მოწოდებას საქართველოს კომპარტიის XX ყრილობის შესახვედრად სოციალისტური შეჯიბრების გაჩაღების შესახებ. ფაბრიკებში, ქარხნებში აიღეს გაზრდილი ვალდებულებანი და ენერგიულად იბრძვიან მათ შესასრულებლად.

განსაკუთრებული შრომითი აღმავლობაა აჭარის უდიდეს მოწინავე საწარმოში — ბათუმის სტალინის სახელობის ნავთობგადამამუშავებელ ქარხანაში. საწარმოს კოლექტივი ყოველდღიურად დავალებებს გადაჭარბებით ასრულებს. მენავთობეებმა ნაკისრი ვალდებულების გადამეტებით მილიონ მანეთზე მეტი შეიტანეს შვიდწლედის რესპუბლიკურ ფონდში. ახლა ისინი თავდადებით შრომობენ, რათა შვიდწლედის რესპუბლიკურ ფონდში დამატებით შეიტანონ ერთ მილიონ მანეთზე მეტი. (საკ. კორ.).

## შენთვის, ჩემო სამშობლოვ!

**თბილისი** საქართველოს სახალხო მეურნეობის საბჭოს ხაშენ მასალათა მრეწველობის თბილისის კერამიკული კომბინატის კოლექტივმა მაღალ საწარმოო მაჩვენებლებს მიაღწია — ოქტომბრის მეორე ნახევარში 100,8 პროცენტით შესრულა მიმდინარე წლის საერთო პროდუქციის გამოშვების გეგმა და ახლა მომავალი წლის ანგარიშში მუშაობს. კომბინატის კოლექტივმა გადაწყვიტა წლის ბოლომდე გეგმის გადამეტებით 3,5 მილიონი მანეთის პროდუქცია გამოუშვას.

**ქუთაისი** მნიშვნელოვანი მიღწევებით შეხვდა ოქტომბრის დღესასწაულს ქუთაისი 1-ის რკინიგზის სადგურის კოლექტივი. აქ სისტემატურად დიდი გადამეტებით ასრულებენ ვაგონების დატვირთვა-გადმოტვირთვის გეგმებს, ნორმასთან შედარებით საგრძნობლად შეამცირეს ადგილობრივი და სატრანზიტო ვაგონების მოცდენის დრო. გასულ თვეებში მოპოვებული წარმატებების მიხედვით სადგურის კოლექტივმა პირველი ადგილი დაიკავა ამიერკავკასიის რკინიგზის საწარმოთა შორის. ქუთაისელი რკინიგზელები კვლავ ენერგიულად შრომობენ, რათა წარმატებით დაამთავრონ მიმდინარე სამეურნეო წელი.

**რუსთავი** ამიერკავკასიის ი. ბ. სტალინის სახელობის მეტალურგიულ ქარხანაში, რომელიც სისტემატურად ზრდის პროდუქციის გამოშვებას, შრომის ნაყოფიერებას და ამცირებს თვითღირებულებას, ასობით მუშა იდგა საოქტომბრო შრომითს ვახტზე. ბევრმა სერიოზული გამარჯვება მოიპოვა. აი ერთ-ერთი მათგანი: ცნობილი მეფოლადე გიორგი სიგუა. მიმდინარე წელს მან გეგმის გადამეტებით გამოადნო 2.500 ტონაზე მეტი ფოლადი. საოქტომბრო სოციალისტურ შეჯიბრებაში მაღალ მაჩვენებლებს მიაღწიეს მეტალურგებმა ს. საყვარელიძემ, ვ. გიგიბერიამ, ვ. მერაბიშვილმა, დ. ძაგანიამ და სხვ. ამ დღეებში მეტალურგიული ქარხნის კოლექტივმა მიიღო სასიხარულო ცნობა. მათ გაიმარჯვეს საოქტომბრო სოციალისტურ შეჯიბრებაში და კვლავ შეინარჩუნეს საქართველოს სსრ სახალხო მეურნეობის საბჭოს გარდამავალი წითელი დროშა. მათვე მიეკუთვნათ ფულადი პრემია.

**ბათუმი** პატარა საწარმოა ბათუმის ლითონის ნაკეთობათა ქარხანა. პატარაა მისი კოლექტივიც, მაგრამ საქმეს კი დიდს აკეთებს. მიმდინარე წლის ათ თვეში ქარხანამ 11 თვის დავალება გაანაღდა და ქვეყანას 1 მილიონ 700 ათასი მანეთი დაუზოგა. ქარხნის კოლექტივმა ოქტომბრის დღესასწაულისათვის შეასრულა შვიდწლედის პირველი წლის გეგმა.

**ზესტაფონი** საქართველოს კომპარტიის XX ყრილობისათვის მზადების დღეებში ფეროშენადნობთა ქარხნის ბევრმა კომკავშირულმა ბრიგადამ და ცალკეულმა ახალგაზრდამ ისახელა თავი. მდნობელთა კომუნისტური შრომის ბრიგადები, რომლებსაც კ. ცქიფურიშვილი და ვ. მდივანი ხელმძღვანელობენ, ლითონის გამოდნობის ყოველთვიურ დავალებებს 110-112 პროცენტით ასრულებენ. სასახელოდ მუშაობენ ახალგაზრდა მეტალურგები მ. კელენჯერიძე, ი. მალლაკელიძე, დ. ლაშხი, ი. მაღრაძე, შ. აბულაძე, ა. ცერცვაძე, გ. ლვინჯილია და სხვები. ისინი ენერგიული მუშაობით ზრდიან შრომის ნაყოფიერებას, მნიშვნელოვნად აუმჯობესებენ პროდუქციის ხარისხს, ზოგავენ ელექტროენერგიას.

## ანაღდებენ ვალდებულებებს

ცნობამ სკკპ ცენტრალური კომიტეტის მორიგი პლენუმის მოწვევის შესახებ ახალი შრომითი ენთუზიაზმი გამოიწვია ადიგენის მებოსტნეობა-მერძევეობის საბჭოთა მეურნეობის კოლექტივში. გაჩაღდა ნამდვილი შემოქმედებითი შრომა შვიდწლედის პირველი წლის დავალებათა ვადამდე შესრულებისათვის.

სოციალისტური შეჯიბრებით ნაკისრ ვალდებულებათა განაღდებისათვის განსაკუთრებით კარგად მუშაობენ ზენარის, ვარხნის, აბასთუმნის განყოფილებები, რომლებსაც კომუნისტები ა. გელაძე, გ. მაშანეიშვილი, ა. გიგოლაშვილი ხელმძღვანელობენ. ზენარის განყოფილებამ საშუალოდ თვითეულ ჰექტარზე გეგმით გათვალისწინებული 10 ცენტნერის ნაცვლად მოიყვანა 13 ცენტნერი ხორბალი. მიღებულია ბუნებრივი ბალახების უხვი მოსავალიც — ჰექტარზე 32 ცენტნერი თივა. უხეში საკვების მთელი მარაგი მიზიდულია საზამთრო სადგომებთან.

მეურნეობის მუშაკებმა თავდადებით იშრომეს ბოსტნეულისა და ხილის მაღალი მოსავლის მიღებისათვის.

აღმავლობის გზაზეა მეცხოველეობა. დიდი გადამეტებით არის შესრულებული ძროხების სულადობის დავალება. განსაკუთრებული ყურადღება ექცევა პირუტყვის ჯიშობრივი შემადგენლობის გაუმჯობესებას. წელს შეიძინეს შვეიცისა და ველის წითელი ჯიშის 87 სული მაღალპროდუქტიული ძროხა. თვითეულ საფურაჟე ძროხაზე გეგმით უნდა მიიღონ 1.400, ხოლო ვალდებულებით — 1.600 ლიტრი რძე. ეს ვალდებულება წარმატებით სრულდება. მთლიანად შენარჩუნებული და კარგად მოვლილია ნამატი.

მეურნეობის კოლექტივმა ვადამდე გაანაღდა სახელმწიფოსათვის მეცხოველეობის პროდუქტების მიყიდვის გეგმები. მათ სამშობლოს გეგმის გადამეტებით მიჰყიდეს 60.212 კილოგრამი რძე, 11.908 კილოგრამი ხორცი, 132 კილოგრამი მატყლი.

სასოფლო-სამეურნეო სამუშაოთა შესრულების საქმეში განსაკუთრებით გამოიჩინეს თავი კომუნისტმა მუშებმა პ. მღებრიშვილმა, გ. მინაძემ, ვ. თავაძემ, შ. კილოშვილმა, მ. ველიჯანიშვილმა, ავტომანქანის მძღოლებმა კომუნისტებმა ლ. და მ. დემეტრაძეებმა, დ. კბილაშვილმა და ლ. ჭეიშვილმა. თავდადებით იბრძვიან 75 წლის მოხუცი მუშები ი. და გ. მინაძეები, რ. სულაქველიძე, რომლებიც დღიურ დავალებებს 120-150 პროცენტით ასრულებენ. მათ გვერდში უდგანან საშუალო სკოლადამთავრებულები ლ. გუბელაძე, ა. მაჭავარიანი, ო. და ი. დემეტრაძეები, ბ. ლიპარიშვილი და სხვები.

ეს წარმატებები იმის შედეგია, რომ მეურნეობის მუშა-მოსამსახურეთა შორის ფართოდ არის გაშლილი მასობრივ-პოლიტიკური მუშაობა, პარტბიურო მტკიცე კონტროლს აწესებს მიღებულ გადაწყვეტილებათა შესრულებაზე. კომუნისტი აგიტატორები ა. დემეტრაძე, თ. ჩინჩალაძე, დ. ჯანელიძე, ვ. მინაძე და სხვები საფუძვლიანად განუმარტავენ მუშებს პარტიისა და მთავრობის გადაწყვეტილებებს, რეგულარულად უშვებენ საველე ფურცლებს; შინაარსიანად და მიმზიდველად კეთდება კედლის გაზეთი „საბჭოთა მუშაკი" (რედაქტორი კომუნისტი თ. გორგოძე). ნაყოფიერად მუშაობს სასოფლო კლუბთან შექმნილი აგიტმხატვრული ბრიგადა (ხელმძღვანელი სკკპ წევრობის კანდიდატი ც. მინაძე).

ადიგენის მებოსტნეობა-მერძევეობის საბჭოთა მეურნეობის კოლექტივი ახალი შრომითი მიღწევებით შეხვდება სკკპ ცენტრალური კომიტეტის მომავალ პლენუმს, რომელიც განიხილავს სოფლის მეურნეობის განვითარების სასიცოცხლო მნიშვნელოვან საკითხებს.

ო. კვირიკაშვილი.

## მაღალი ტემპით

**ახალციხე.** (საკ. კორ.). საქდიატომიტის ახალციხის მაღაროს კოლექტივი შესანიშნავ საწარმოო გამარჯვებებს აღწევს საქართველოს კომპარტიის XX ყრილობის შესახვედრად გაჩაღებულ სოციალისტურ შეჯიბრებაში. ყრილობის აღსანიშნავ შრომითს ვახტზე დგას მნგრეველი ს. ინასარიძე და სხვ.

ამჟამად აქ ჩქარი ტემპით მიმდინარეობს მაღაროს რეკონსტრუქცია და გაფართოება, წლის ბოლომდე დამთავრდება დიატომიტის დაფქვის სამუშაოთა მექანიზაცია. ეს საგრძნობლად აამაღლებს შრომის ნაყოფიერებას, 1,5-ჯერ გაზრდის პროდუქციის გამოშვებას, წელიწადში მოგვცემს 400 ათას მანეთ ეკონომიას.

## მუყაითი შრომით

**თერჯოლა.** (საკ. კორ.). სოფელ სიქთარვის ჟდანოვის სახელობის კოლმეურნეობაში შექმნილია კომუნისტური შრომის ბრიგადა, რომელსაც ბ. გოგბერაშვილი ხელმძღვანელობს. ბრიგადის წევრები გულმოდგინედ უვლიდნენ ვენახს. მუყაით და გამრჯე შრომას ამაოდ არ ჩაუვლია.

ბრიგადის წევრებს ვალდებულება ჰქონდათ ნაკისრი 3 ჰექტარი მსხმოიარე ვენახის ყოველ ჰექტარზე მიეღოთ 120 ცენტნერი ყურძენი. ფაქტიურად მიიღეს 161,5 ცენტნერი. ამით გადაჭარბებით შეასრულეს ნაკისრი ვალდებულება.



მოსკოვი, კრემლი, 1959 წ. 14 ნოემბერი. დარბაზობა კრემლის დიდ სასახლეში სსრ კავშირის ჟურნალისტთა კავშირის დაარსების აღსანიშნავად.

ფოტო ს. სმირნოვისა.

## პარტიულ კონფერენციებზე

# წარმატებათა წელი

### თეთრი წყაროს რაიონი

რაიონული პარტიული კონფერენციის დაწყების წინ დელეგატები დიდი ინტერესით ათვალიერებენ ცალკეულ კოლმეურნეობათა მიღწევების გამოფენას, რომელიც რაიკომის სხდომათა დარბაზის გვერდით არის მოწყობილი. აქ წარმოდგენილია კოდის, ასურეთის, ჯორჯიაშვილისა და სხვა სოფლების კოლმეურნეობათა ექსპონატები, დიაგრამები, რომლებიც ასახავენ იმ წარმატებებს, რაც თეთრი წყაროს რაიონის მშრომელებმა მოიპოვეს წელს სკკპ XXI ყრილობის ისტორიული გადაწყვეტილებების განხორციელებისა და სკკპ ცენტრალური კომიტეტის მორიგი პლენუმის საღირსეულო შეხვედრისათვის ბრძოლაში.

მიმდინარე წლის ათ თვეში რაიონმა მიიღო 43.740 ცენტნერი რძე და ამით უკვე შესრულა ნაკისრი ვალდებულება. ამავე პერიოდში თვითეულ საფურაჟე ძროხაზე მოწველილია 1.361 კილოგრამი რძე, ანუ 345 კილოგრამით მეტი, ვიდრე გასული წლის შესაბამის პერიოდში. კარგი მაჩვენებლებია მოპოვებული ხორცის წარმოების მხრივაც. ყოველ 100 ჰექტარ სასოფლო-სამეურნეო სავარგულებზე მიღებულია 35 ცენტნერი ხორცი, რაც 4-ჯერ მეტია გასული წლის მაჩვენებელზე.

— ეს წარმატებები, — თქვა საანგარიშო მოხსენებაში პარტიის თეთრი წყაროს რაიკომის პირველმა მდივანმა ა. ბექაურმა, — იმის შედეგია, რომ კოლმეურნეობათა გამგეობებმა და პირველადმა პარტიულმა ორგანიზაციებმა გააძლიერეს წამყვანი დარგისადმი — მეცხოველეობისადმი ხელმძღვანელობა. განსაკუთრებული ყურადღება მიექცა მტკიცე საკვები ბაზის შექმნას, პირუტყვის მოვლა-პატრონობის, ზოოვეტმომსახურების გაუმჯობესებას. სუქებაზე დაყენებულ იყო 2.326 სული მსხვილფეხა რქიანი პირუტყვი და 10.088 ცხვარი. განსაკუთრებით კარგი შედეგი გამოიღო პირუტყვის საკოლმეურნეობათაშორისო გასუქების ორგანიზაციამ, რაც წელს პირველად მოეწყო.

მომხსენებელსა და კამათის მონაწილეებს მოჰყავთ ბევრი საგულისხმო ციფრი. წელს 10 თვეში მსხვილფეხა რქიანი პირუტყვის სულადობის ზრდა გასული წლის შესაბამის პერიოდთან შედარებით 115,3 პროცენტს უდრის. მიღწევებია მოპოვებული სხვა სახის პირუტყვის სულადობის ზრდაშიც.

მეცხოველეობის დარგში არსებულ წარმატებებთან ერთად მომხსენებელმა და სიტყვით გამოსულმა დელეგატებმა ილაპარაკეს ჯერ კიდევ არსებულ ნაკლოვანებებზე. განსაკუთრებით ბევრი ითქვა ქოსოლარის, წინწყაროს, ღვევის, ჩხიკვთა-მაწევნის და სხვა კოლმეურნეობების გამგეობათა ცუდ მუშაობაზე, რომლებსაც წელს არამცთუ არ გაუზრდიათ პირუტყვის სულადობა და პროდუქტიულობა, არამედ მნიშვნელოვნადაც შეამცირეს იგი.

— თუ მეცხოველეობის განვითარების მხრივ სასურველი მაჩვენებლებია მოპოვებული, — აღნიშნავდნენ დელეგატები, — სამწუხაროდ, ჯერ კიდევ ცუდად არის საქმე მემცენარეობაში, მებაღეობაში და მებოსტნეობაში. მართალია, წინა წლებთან შედარებით მნიშვნელოვნად გაიზარდა მარცვლეულის, ხილის, ბოსტნეულის მოსავლიანობა, მაგრამ საშუალო მოსავლიანობის გეგმები მაინც არ არის შესრულებული. მაგალითად, წელს ჰექტარზე მიღებულ იქნა მხოლოდ 7,6 ცენტნერი პური, რაც იმის შედეგია, რომ რაიონის ხელმძღვანელი პარტიული, საბჭოთა და სასოფლო-სამეურნეო ორგანოები, კოლმეურნეობათა გამგეობები ჯერ კიდევ სათანადო ყურადღებას არ აქცევენ აგროტექნიკურ ღონისძიებათა კომპლექსის სრულად განხორციელებას, ყოველივე ახლის, მოწინავის, პროგრესულის დანერგვას წარმოებაში.

კონფერენციის მონაწილეებმა ინტერესით მოისმინეს კოდის კოლმეურნეობის მექანიზატორთა ბრიგადის ხელმძღვანელის ა. მიკირტუმაშვილის გამოსვლა. მან აღნიშნა, რომ ბრიგადის მექანიზატორებმა 220 ჰექტარი სიმინდი კვადრატულ-ბუდობრივად დათესეს და მთელი ფართობი მექანიზმებით დაამუშავეს.

— თუ ხელით დამუშავების შემთხვევაში, — ამბობს ა. მიკირტუმაშვილი, — ამ ფართობზე 11.160 შრომადღე უნდა დახარჯულიყო, ჩვენ მხოლოდ 825 შრომადღე დავხარჯეთ. ფულადი გამოხატულებით დანაზოგი 50.000 მანეთზე მეტს შეადგენს.

ილაპარაკეს რა თავიანთი კოლმეურნეობების წარმატებებზე, ალგეთის, ივანოვკის და ბორბალოს კოლმეურნეობათა თავმჯდომარეებმა ა. გრეჩკინმა, ნ. კუდუკოვმა და პ. გელაშვილმა დააყენეს მთელი რიგი საკითხები, რომლებიც ოპერატიულ გადაწყვეტას მოითხოვს. მაგალითად, მათ საჭიროდ მიაჩნიათ დაჩქარდეს ალგეთის სარწყავი არხის მშენებლობის საკითხის დადებითად გადაჭრა, რაც მარცვლეული კულტურების მოსავლიანობის გადიდების საიმედო რეზერვი იქნება. მათვე პრინციპულად მოითხოვეს ერთხელ და სამუდამოდ გადაწყდეს კოლმეურნეობათა იარაღ-მანქანების სათადარიგო ნაწილებითა და საბურავებით მომარაგების საკითხი.

რაიონის ერთ-ერთი მოწინავე კოლმეურნეობის — დაბა თეთრი წყაროს სასოფლო-სამეურნეო არტელის თავმჯდომარემ გ. ბილიაევმა კონფერენციის მონაწილეებს მოუთხრო კოლმეურნეობის შვიდწლედზე. დასახულია შვიდწლედის ბოლოსათვის თვითეული ძროხის წველადობის აყვანა 2.500 კილოგრამამდე. ყოველ 100 ჰექტარ მიწის სავარგულებზე წარმოებული იქნება 530 ცენტნერი რძე და 125 ცენტნერი ხორცი. კოლმეურნეობაში წარმატებით ხორციელდება კოლმეურნეთა ყოველთვიური ავანსირება. კოლმეურნეობამ სათანადო შესწორებები, ცვლილებები და დამატებები შეიტანა სასოფლო-სამეურნეო არტელის წესდებაში.

რაიონში ფართო გამოხმაურება ჰპოვა ვ. გაგანოვას თაოსნობამ. კონფერენციის დელეგატები დიდი კმაყოფილებით ლაპარაკობდნენ გამოცდილ მექანიზატორ პ. გელაშვილზე, პარტიის რაიკომის ბიუროს წევრ შ. ბექაურზე, რაიკომის განყოფილების გამგე გ. ასრიანზე, უფროს აგრონომ გ. კანკიასა და სხვებზე, რომლებიც აქტიურად გამოეხმაურნენ ვ. გაგანოვას ძვირფას თაოსნობას და სამუშაოდ წავიდნენ ჩამორჩენილ კოლმეურნეობებში. აქვე აღინიშნა, რომ ამ კოლმეურნეობებში მათი მისვლის შემდეგ მდგომარეობა საგრძნობლად გამოსწორდა.

კონფერენციის მუშაობაში მონაწილეობა მიიღო და ვრცელი სიტყვა წარმოთქვა საქართველოს კპ ცენტრალური კომიტეტის მეორე მდივანმა ამხ. პ. ვ. კოვანოვმა. მან ვრცლად ილაპარაკა რაიონის საკოლმეურნეო წარმოების ზრდის რეზერვებსა და შესაძლებლობაზე.

— მთავარია ის, — ამბობს ამხ. პ. ვ. კოვანოვი, — რომ გონივრულად, ყაირათიანად გამოვიყენოთ სასოფლო-სამეურნეო სავარგულები, სისტემატურად ავამაღლოთ შრომის ნაყოფიერება, ვიბრძოლოთ პროდუქციის თვითღირებულების შემცირებისათვის. უნდა მივაღწიოთ პირველადი პარტიული ორგანიზაციებისა და კომუნისტების ავანგარდული როლის ამაღლებას საკოლმეურნეო წარმოების ყოველ დარგში.

რაიონის XXI პარტიულმა კონფერენციამ, რომელმაც საქმიანი კრიტიკისა და თვითკრიტიკის ნიშნით ჩაიარა, ცხადყო, რომ თეთრწყაროელ მშრომელებს შესწევთ ძალა უნარიანად იბრძოლონ სკკპ XXI ყრილობის ისტორიულ გადაწყვეტილებათა შესრულებისათვის, ახალი შრომითი საქმეებით შეხვდნენ სკკპ ცენტრალური კომიტეტის მორიგ პლენუმს.

* * *

შედგა ახლად არჩეული რაიონული კომიტეტის პირველი პლენუმი.

პლენუმმა პარტიის თეთრი წყაროს რაიკომის პირველ მდივნად აირჩია ამხ. ა. ბექაური, მეორე მდივნად — ამხ. ა. გურგენიძე, მდივნად — ამხ. შ. ბურდული.

**ზ. მერკვილაძე,**
„კომუნისტის" საკ. კორ.



## პატივისცემა დაიმსახურა

მორცხვად, დინჯად შემოაღო ვენერა კინწურაშვილმა ძაფსართავ-საგრეხი ფაბრიკის კარები და სამუშაოზე მოწყობა ითხოვა. ეს იყო ამ ერთი წლის წინათ ქ. წულუკიძეში. არ დააყოვნეს მისი სურვილის შესრულება. გულთბილად მიიღეს გოგონა რაიონის ამ წამყვან საწარმოში.

ვენერამ ჩქარა აითვისა უფროსი ფეიქრების გამოცდილება და მთელი კოლექტივის პატივისცემა დაიმსახურა. ხალისით, თავდადებით მუშაობდა და სასურველ შედეგსაც მიაღწია. მოწინავეთა რიგებში ჩადგა შრომისმოყვარე ქალიშვილი. იგი ახლა 120 პროცენტით ასრულებს ყოველდღიურ დავალებას და ბევრ თავის ტოლს უსწრებს ვალდებულების განაღდებაში.

* * *

სურათზე: ვენერა კინწურაშვილი.

ფოტო გ. გერსამიასი.
(საქდესის ფოტოქრონიკა).

# პროდუქტების სიუხვისათვის

### წითელწყაროს რაიონი

ცნობამ სოფლის მეურნეობის საკითხებზე სკკპ ცენტრალური კომიტეტის მორიგი პლენუმის მოწვევის შესახებ ახალი შრომითი და პოლიტიკური აღმავლობა გამოიწვია წითელწყაროს რაიონის — რესპუბლიკის ერთ-ერთი დიდი სასოფლო-სამეურნეო რაიონის მშრომელებში.

ღირსეულ შეხვედრას უმზადებენ რა სკკპ ცენტრალური კომიტეტის დეკემბრის პლენუმს, რაიონის მშრომელნი კიდევ უფრო ფართოდ აჩაღებენ სოციალისტურ შეჯიბრებას მაღალი მაჩვენებლებისათვის მიწათმოქმედებასა და მეცხოველეობაში. ბევრი კოლმეურნეობა გადასინჯავს თავის ვალდებულებებს მათი გადიდების მიზნით, სახავს შვიდწლედის მეორე წელს მიაღწიოს უფრო დიდ წარმატებებს.

სკკპ ცენტრალური კომიტეტის მომავალი პლენუმისათვის მზადების საკითხებმა ცენტრალური ადგილი დაიკავეს რაიონის მორიგი პარტიული კონფერენციის მუშაობაში, რომელმაც ჩაიარა შვიდწლიანი გეგმის ამოცანების წარმატებით გადაჭრისათვის სოფლის კომუნისტებისა და ყველა მშრომელის შემდგომი მობილიზაციის ნიშნით. კონფერენციაზე დიდი ლაპარაკი იყო იმ მუშაობის შესახებ, რომელიც რაიონულმა პარტიულმა ორგანიზაციამ გასწია, რათა განეხორციელებინა პარტიის XX და XXI ყრილობების, სკკპ ცენტრალური კომიტეტის სექტემბრისა და შემდგომი პლენუმების ისტორიული გადაწყვეტილებანი სოფლის მეურნეობის საკითხებზე, შვიდწლედის პირველი წლის შედეგების შესახებ, დიდი და სერიოზული ამოცანების შესახებ, რომლებიც შვიდწლედში დასახულია რაიონის კომუნისტებისა და ყველა მშრომელის წინაშე.

პარტიის წითელწყაროს რაიკომის პირველი მდივნის ს. ხოსროშვილის მოხსენებაში და კონფერენციის დელეგატების გამოსვლებში მოყვანილი იყო მრავალი მაგალითი, რომლებიც ცხადყოფენ სოფლის კომუნისტთა და მშრომელთა გაზრდილ პოლიტიკურ და შრომითს აქტივობას სკკპ XXI ყრილობის გადაწყვეტილებათა განხორციელებისათვის ბრძოლაში. პარტიულმა ორგანიზაციებმა გააძლიერეს ორგანიზატორული მუშაობა, უფრო ღრმად სწვდებიან კოლმეურნეობათა ეკონომიკას, ავლინებენ სასოფლო-სამეურნეო წარმოების შემდგომი ზრდის რეზერვებს.

პარტიის ცენტრალური კომიტეტის სექტემბრის პლენუმის შემდეგ განვლილ წლებში ყველა სასოფლო-სამეურნეო კულტურის მოსავლიანობის განუხრელი ზრდის, საზოგადოებრივი მეცხოველეობის განვითარების მეოხებით რაიონის კოლმეურნეობანი გადაიქცნენ მსხვილ, დიდადგანვითარებულ მეურნეობებად. 1958 წელს მათი ფულადი შემოსავალი შეადგენდა 55,5 მილიონ მანეთს, — რამდენჯერმე მეტს, ვიდრე 1953 წელს. მიმდინარე წელს ეს შემოსავალი გადიდდება 82 მილიონ მანეთამდე.

მნიშვნელოვან წარმატებებს მიაღწიეს რაიონის სოფლის მეურნეობის მშრომელებმა შვიდწლედის პირველ წელს. მიუხედავად არახელსაყრელი კლიმატური პირობებისა, მათ მოიყვანეს მარცვლეული კულტურების კარგი მოსავალი, თვითეულ ჰექტარზე აღებულია 18,9 ცენტნერი ხორბალი გეგმით გათვალისწინებული 17,8 ცენტნერის ნაცვლად. სასიხარულოა მესიმინდეთა, მებოსტნეთა, მებაღჩეთა წარმატება.

რაიონის მინდვრებში გაჩნდა შირაქის ველისათვის ახალი უხვმოსავლიანი და რენტაბელური კულტურები. ასეთი კულტურაა ყურძენი, რომლის მოსავალმა ცალკეულ მეურნეობებში 100 ცენტნერს გადააჭარბა. ახლა საკოლმეურნეო ვენახები გადაჭიმულია 1400 ჰექტარზე.

რაიონის კოლმეურნეობების მშრომელთა გულში მხურვალე გამოხმაურება ჰპოვა პარტიის მოწოდებამ — უახლოეს წლებში დავეწიოთ ამერიკის შეერთებულ შტატებს ერთ სულ მოსახლეზე მეცხოველეობის პროდუქტების წარმოების მხრივ. სოფლის მეურნეობის წინათ ჩამორჩენილი ეს დარგი ახლა აღმავლობის გზით მიდის. რამდენჯერმე გადიდდა პირუტყვის სულადობა, გადიდდა მეცხოველეობის პროდუქტების წარმოება. ეს შედეგად მოჰყვა დიდ მუშაობას მტკიცე საკვები ბაზის შესაქმნელად და, უწინარეს ყოვლისა, სიმინდისა და სხვა საკვები კულტურების ფართობების გასადიდებლად, მეცხოველეობის ფერმების განსამტკიცებლად გამოცდილ მეცხოველეთა და სპეციალისტთა კადრებით.

წარმატებით სრულდება პირუტყვის სულადობის ზრდის 1959 წლის გეგმები. 1 ნოემბრისათვის არსებული მდგომარეობის მიხედვით მსხვილფეხა რქიანი პირუტყვის სულადობის გეგმა შესრულებულია 100,3 პროცენტით, ღორისა — 103,3 პროცენტით, ცხვრის და თხისა — 110,4 პროცენტით. შვიდწლედის პირველი წლისათვის რაიონის მეცხოველეებმა იკისრეს ვალდებულება ყოველ 100 ჰექტარ სასოფლო-სამეურნეო სავარგულზე ეწარმოებინათ ხორცი — 39 ცენტნერი, აქედან ღორის ხორცი — 20,7 ცენტნერი, რძე — 76,8 ცენტნერი, კვერცხი — 17,500 ცალი, მატყლი — 302 კილოგრამი. ეს ვალდებულება პირნათლად სრულდება. 10 თვის განმავლობაში თვითეულ საფურაჟე ძროხაზე უკვე მიღებულია 1.609 კილოგრამი რძე ვალდებულებით გათვალისწინებული 1726 კილოგრამის ნაცვლად. წლის განმავლობაში წველადობის ზრდა მთელ რაიონში თითო საფურაჟე ძროხაზე შეადგენს 233 კილოგრამს.

პარტიული კონფერენციის დელეგატები, რომლებმაც ანალიზი გაუკეთეს მიმდინარე წლის შედეგებს, მოწინავე მეურნეობათა გამოცდილებას და ცდილობენ ღირსეულად აღნიშნონ სკკპ ცენტრალური კომიტეტის მომავალი პლენუმი, მივიდნენ იმ დასკვნამდე რომ შეუძლიათ მეცხოველეობის პროდუქტების წარმოების შესახებ ნაკისრი სოციალისტური ვალდებულებანი შეასრულონ 5 დეკემბრისათვის. ეს იმას ნიშნავს, რომ წითელწყაროს რაიონის სოფლის მეურნეობის მშრომელნი ვადაზე 25 დღით ადრე შეასრულებენ ვალდებულებებს, რომლებიც მათ იკისრეს შვიდწლედის პირველი წლისათვის. წარმოებულ იქნება 43.919 ცენტნერი ხორცი, აქედან 10.760 ცენტნერი ღორის ხორცი, 3.112 ცენტნერი ფრინველის ხორცი, 93.675 ცენტნერი რძე, 5.114 ათასი ცალი კვერცხი, 3.598 ცენტნერი მატყლი.

კონფერენციაზე გამოვიდნენ სტალინის სახელობის კოლმეურნეობის თავმჯდომარე ნ. მამაიაშვილი, სოფელ არხილოსკალოს კიროვის სახელობის კოლმეურნეობის პარტბიუროს მდივანი შ. ზურაშვილი, სოფელ არბოშიკის სასოფლო საბჭოს აღმასკომის თავმჯდომარე ზ. ალადაშვილი, ელდარის მეცხვარეობის საბჭოთა მეურნეობის დირექტორი გ. დალაქიშვილი, კომკავშირის რაიკომის მდივანი გ. ტოკლიკიშვილი, რაისაბჭოს აღმასკომის თავმჯდომარე დ. ნატროშვილი და სხვები. მათ ილაპარაკეს დიდ ამოცანებზე, რომლებიც ახლა დასახულია სოფლის მშრომელთა წინაშე. დრო, რაც დარჩა სკკპ ცენტრალური კომიტეტის პლენუმის მუშაობის დაწყებამდე, მეტად ცხარე მუშაობის დროა სოფლის მშრომელთათვის. მათ წარმატებით უნდა დაამთავრონ სასოფლო-სამეურნეო წელი. ეს პასუხსაგები დროა მეცხოველეებისათვის, რომლებმაც ყოველი ღონე უნდა იხმარონ, რათა შეასრულონ ნაკისრი ვალდებულებანი და ამასთან უზრუნველყონ პირუტყვის გულდასმით მომზადება გამოზამთრებისათვის და კარგი წანამძღვრები შეუქმნან ხორცის, რძის, კარაქის, მატყლისა და სხვა პროდუქტების წარმოების კიდევ უფრო მეტ ზრდას მომავალ წელს — შვიდწლედის მეორე წელს.

კონფერენციის მუშაობაში და რაიონული აქტივის თათბირში, რომელიც შემდეგ გაიმართა, მონაწილეობა მიიღო საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის მდივანმა ამხ. ფ. დ. დუმბაძემ. თავის გამოსვლაში იგი შეეხო გადაუდებელ ამოცანებს, რომლებსაც კოლმეურნეობებისა და საბჭოთა მეურნეობების პარტიული ორგანიზაციების წინაშე სახავს სკკპ ცენტრალური კომიტეტის პლენუმისათვის მზადება. სოფლის კომუნისტები მოწოდებული არიან სათავეში ჩაუდგნენ მშრომელთა პოლიტიკურ და შრომითს აქტივობას. მათ უნდა მოაწყონ თვითეული კოლმეურნეობისა და საბჭოთა მეურნეობის, ბრიგადისა და ფერმის, მემინდვრისა და მეცხოველის მიერ თავის სოციალისტურ ვალდებულებათა შესრულების შემოწმება. საჭიროა ვამხილოთ ნაკლოვანებანი, გამოუყენებელი რეზერვები მუშაობის ყოველ უბანზე, გავაკეთოთ ყველაფერი, რაც შესაძლებელია, რათა ნოემბერი და დეკემბერი გადავაქციოთ დასახული გეგმებისა და ნაკისრ ვალდებულებათა სრული განხორციელებისათვის ბრძოლის დამკვრელ თვეებად.

კონფერენციამ აირჩია პარტიის რაიკომის, სარევიზიო კომისიის ახალი შემადგენლობა, აგრეთვე საქართველოს კომპარტიის XX ყრილობის დელეგატები.

* * *

გაიმართა ახლად არჩეული რაიკომის პლენუმი, რომელზეც საქართველოს კომპარტიის წითელწყაროს რაიკომის პირველ მდივნად აირჩიეს ს. ხოსროშვილი, მეორე მდივნად — ი. ბალაშვილი, მდივნად — ი. მოლოდინი. (საქდესი).

## სუფსაც მღერის: რა კარგია!



ძიმითი მახარაძის რაიონის ერთ-ერთი ლამაზი [illegible]

[illegible] ჭოს აღმასკომის თავმჯდომარემ ვ. თავდიშვილმა. სიტყვა წარმოთქვა კოლმეურნეობის თავმჯდომარემ ს. მუხაშავრიამ.

— მდინარე სუფსაზე ახალი ხიდი, — ამბობს სიტყვით გამოსული საქართველოს კომპარტიის მახარაძის რაიკომის პირველი მდივანი ამხ. ვ. თოხაძე, — კიდევ უფრო დარაზმავს შრომისმოყვარე ძიმითელ კოლმეურნეებს დიადი შვიდწლედის წარმატებით განხორციელებისათვის საბრძოლველად. ეჭვი არ არის, რომ ამ სოფლის მშრომელები ყველაფერს გააკეთებენ სოფლის მეურნეობის პროდუქტთა სიუხვისათვის, კოლმეურნეობის შემდგომი სამეურნეო-ორგანიზაციული განმტკიცებისათვის.

ჩოხატაურის რაიონის მშრომელთა სახელით სიტყვა წარმოთქვა ქვენობნის კოლმეურნეობის თავმჯდომარემ ქ. მახარაძემ.

მიტინგზე სიტყვებით გამოვიდნენ აგრეთვე ძიმითის კოლმეურნეობის წევრი სოციალისტური შრომის გმირი ს. ქურიძე, საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოსთან არსებული გზატკეცილების სამმართველოს წარმომადგენელი ვ. ტონია. საკუთარი ლექსები წაიკითხეს ძიმითის საშუალო სკოლის მეექვსე კლასის მოსწავლეებმა მ. მორჩილაძემ და ი. ბელუშაძემ.

დასასრულ ადგილობრივი ძალებით გაიმართა კონცერტი.

**ბ. ჩხაიძე.**
„კომუნისტის" საკ. კორ.

* * *

სურათზე: ახალი ხიდი მდინარე სუფსაზე.

ფოტო ა. აბულაძისა.
(საქდესის ფოტოქრონიკა).

# ღვიძლი საქმე

### ყურადღების ცენტრშია სკოლა-ინტერნატები

დიადი შვიდწლიანი გეგმით გათვალისწინებულია სკოლა-ინტერნატების ქსელის გაფართოება და აღსაზრდელთა კონტინგენტის გადიდება. შვიდწლედის ბოლოს სკოლა-ინტერნატებში მოსწავლეთა რიცხვი სულ ცოტა 2 მილიონ 500 ათასი იქნება.

„მომავალში გათვალისწინებულია, — თქვა ნ. ს. ხრუშჩოვმა სკკპ XXI ყრილობაზე, — მიეცეს ყველა ბავშვს სკოლა-ინტერნატებში აღზრდის შესაძლებლობა, რაც ხელს შეუწყობს მოზარდი თაობის კომუნისტური აღზრდის და კომუნისტური საზოგადოების აქტიურ მშენებელთა რიგებში მილიონობით ახალი ძალის ჩაბმის ამოცანის წარმატებით გადაჭრას".

სკოლა-ინტერნატები, როგორც ახალი ტიპის სასწავლო-აღმზრდელობითი დაწესებულებები, ფართოდ ვითარდება ქ. ქუთაისში. ამჟამად ჩვენს ქალაქში მუშაობს ორი სკოლა-ინტერნატი, რომელთაგან ერთი — № 1 სკოლა-ინტერნატი მიმდინარე სასწავლო წელს გაიხსნა.

ქალაქის პარტიულმა და საბჭოთა ორგანიზაციებმა გაითვალისწინეს სკოლა-ინტერნატების დიდი აღმზრდელობითი მნიშვნელობა, ახალი სასწავლო წლისათვის მზადებასთან დაკავშირებით განსაკუთრებული ყურადღება მიაქციეს მათი მატერიალური ბაზის შექმნისა და განმტკიცების საქმეს.

ამ მხრივ განსაკუთრებით უნდა აღინიშნოს № 4 საერთო სამშენებლო ტრესტისა და მისი № 1 სამშენებლო სამმართველოს ენერგიული მუშაობა. მშენებლები დიდი პასუხისმგებლობით მოეკიდნენ დაკისრებულ საპატიო მოვალეობას და უზრუნველყვეს სათანადო ხარისხის დაცვით მშენებლობის გათვალისწინებულ ვადებში დამთავრება.

№ 2 სკოლა-ინტერნატი, რომელიც გუმათჰესის მუშათა დაბაში მდებარეობს, თავისი მატერიალური ბაზით ვერ უპასუხებდა მის წინაშე მდგომ ამოცანებს. გასულ სასწავლო წელს № 2 სკოლა-ინტერნატში 220 აღსაზრდელი სწავლობდა. ახალი სასწავლო წლისათვის სახალხო-სამეურნეო გეგმით აღსაზრდელთა კონტინგენტი 300 მოსწავლემდე გაიზარდა. ამიტომ დადგა საკითხი სკოლა-ინტერნატის სასწავლო-მატერიალური ბაზის შემდგომი გაფართოებისა და განმტკიცების შესახებ. ინტერნატს წელს გადაეცა ოთხი ახალი კორპუსი.

სასწავლო-მატერიალური ბაზის განმტკიცებისათვის განხორციელებულ ღონისძიებათა შედეგად ქუთაისის სკოლა-ინტერნატებში აღსაზრდელთათვის შექმნილია ნორმალური სწავლისა და ცხოვრების პირობები. ორივე ინტერნატში მეცადინეობა ერთ ცვლად მიმდინარეობს.

სკოლა-ინტერნატები წარმატებით უთავსებენ ერთმანეთს სწავლასა და შრომას. მაგალითად, № 2 სკოლა-ინტერნატის აღსაზრდელებმა წყალტუბოს რაიონის სოფელ სორმონის ლენინის სახელობის კოლმეურნეობაში მოკრიფეს სამ ტონაზე მეტი ხარისხოვანი ჩაის მწვანე ფოთოლი. აქვე შექმნილია აღსაზრდელთა ბრიგადები, რომელთა ძალებით ინტერნატში შეკეთებულ იქნა 100 ცალი მერხი, 15 ცალი მაგიდა, კარადები, დაფები და სხვა სახის დგამ-ავეჯი. აღსაზრდელების უშუალო მონაწილეობით აიგო სასპორტო მოედნები. ფართოდ არის დანერგილი მოსწავლეთა თვითმომსახურება. ამ გზით მარტო წელს შესრულებულია 50.000 მანეთის სამუშაოები. V-IX კლასების მოსწავლეთა საწოლი და სამეცადინო ოთახების დასუფთავება აღსაზრდელთა ძალებით ხდება. ინტერნატის მე-9 კლასის 30 მოსწავლე მიმდინარე სასწავლო წლიდან გადაყვანილია საწარმოო სწავლებაზე.

სკოლა-ინტერნატებში უნდა იყოს შექმნილი საზოგადოებრივ-სასარგებლო შრომასთან სწავლა-აღზრდის შეერთების, შრომისათვის მოზარდი თაობის ფსიქოლოგიურად და პრაქტიკულად მომზადების პირობები, მაგრამ ამ მხრივ ჩვენ ყველაფერი რიგზე როდი გვაქვს. № 2 სკოლა-ინტერნატს საკმაოდ ძლიერი დამხმარე მეურნეობა აქვს, რომლის მიწის ფართობი 20 ჰექტარს შეადგენს. მეურნეობას აქვს ტრაქტორი, ამასთან ჰყავს პირუტყვი და ფრინველი. მაგრამ საქმე ის არის, რომ მეურნეობა ათი კილომეტრით არის დაშორებული სკოლა-ინტერნატს, რის გამო არ ხერხდება აღსაზრდელთა შრომის ფართოდ გამოყენება.

შრომითი აღზრდისათვის ყველა საჭირო პირობა არ არის № 1 სკოლა-ინტერნატში, სადაც ჯერ კიდევ მოუწყობელია საზეინკლო და სადურგლო სახელოსნოები, ხოლო მოსწავლეები ნაკლებად არიან ჩაბმული თვითმომსახურებაში.

ინტერნატებში მუშაობის წარმატებას წყვეტენ კადრები. სწავლა-აღზრდის ახლებურად მოწყობა პედაგოგებისაგან და აღმზრდელებისაგან მაღალ პედაგოგიურ ოსტატობას, აღმზრდელობითი მუშაობის მრავალფეროვანი ხერხებისა და მეთოდების გამოყენებას მოითხოვს. ამ მხრივ ჩვენ ყველაფერი რიგზე როდი გვაქვს. სკოლა-ინტერნატების აღმზრდელთა ნაწილს აკლია სათანადო დახელოვნება. განსაკუთრებით გაუმჯობესებას მოითხოვს ბავშვთა ესთეტიკური აღზრდა, მუსიკალური, მხატვრული და თვითმოქმედი წრეების მუშაობა. გადაჭრით უნდა გარდაიქმნას კომკავშირული და პიონერული ორგანიზაციების საქმიანობა.

ჩვენ მოგვიხდება ამთავითვე პრაქტიკულად გადავჭრათ ბევრი მტკივნეული და მოსაგვარებელი საკითხი, რაც დღემდე აფერხებს სკოლა-ინტერნატების გამართულ მუშაობას. საჭიროა დაუყოვნებლივ დაიწყოს № 1 სკოლა-ინტერნატში ცალკე საწოლი კორპუსის მშენებლობა იმ ვარაუდით, რომ იგი მომავალი წლის აგვის- [illegible] შესაფერისი ზომის არ არის. ეს მაშინ, როცა ქ. ქუთაისში არის სამკერვალო ფაბრიკები და ტყავფეხსაცმლის კომბინატი, რომლებსაც შეუძლიათ, სათანადო ფონდების დაშვების შემთხვევაში, ინტერნატების ტანსაცმლითა და ფეხსაცმლით მომარაგება.

შვიდწლედის მანძილზე ქალაქ ქუთაისში გათვალისწინებულია დამატებით გაიხსნას ორი სკოლა-ინტერნატი, რომელთაგან ერთის მშენებლობა 1961 წელს დაიწყება. აღნიშნული ინტერნატები მთლიანად დააკმაყოფილებს მოსახლეობის მოთხოვნილებას მიმდინარე ეტაპზე.

გამოცდილებამ გვიჩვენა, რომ სკოლა-ინტერნატებში მომუშავე კადრებისათვის მუშაობის თავისებურების გამო არ კმარა მარტოოდენ პედაგოგიური დახელოვნება, მათში შეხამებულ უნდა იქნას პედაგოგიური მუშაობის მოწინავე გამოცდილებასთან ერთად სამეურნეო-ორგანიზაციული მუშაობაც. სწორედ ამიტომ იყო, რომ ჩვენ მოგვიხდა ცვლილებების შეტანა № 1 სკოლა-ინტერნატის ხელმძღვანელობაში. ყოფილმა დირექტორმა კ. ასათიანმა, რომელიც წინათ ქუთაისის რაიონის განათლების განყოფილების გამგედ მუშაობდა, საჭირო ინიციატივა და უნარი ვერ გამოიჩინა სამეურნეო-ორგანიზაციულ მუშაობაში. იგი ნამდვილად კარგი პედაგოგი და პატიოსანი მუშაკია, მაგრამ ინტერნატის დირექტორისათვის მარტო ეს როდია საკმარისი. იგი უნარიანი ორგანიზატორიც უნდა იყოს. ამხ. ასათიანმა თვითონ შემოიტანა განცხადება დირექტორის თანამდებობიდან განთავისუფლების შესახებ და იგი სასწავლო ნაწილის გამგედ იქნა დატოვებული. პირველი შედეგები მოწმობენ, რომ ის ძირითადი ნაკლოვანებანი, რომელთაც წინათ ადგილი ჰქონდა № 1 სკოლა-ინტერნატის მუშაობაში, ამჟამად გამოსწორებულია.

ქუთაისის პარტიული და საბჭოთა ორგანიზაციების, ქალაქის საწარმოთა და მშენებლობათა კოლექტივების ღვიძლი საქმეა ყოველმხრივი დახმარება აღმოუჩინონ სკოლა-ინტერნატებს მათ წინაშე მდგომი საპატიო ამოცანების წარმატებით განხორციელებაში.

**ე. ტაკიძე,**
საქართველოს კპ ქუთაისის საქალაქო კომიტეტის პირველი მდივანი.

გამოხმაურება [illegible] წერილებზე

# პასუხს ადგილზე მიიღებთ

წერილ[illegible] გაზეთების დამტარებლის ცუდ მუშაობაზე განცხადება შემ[illegible] რაიონის სოფელ წითელხევის მცხოვრებ მ. ენდელაძის[illegible] დღის [illegible], რომ სოფლის ფოსტალიონი კოტორაშვილი [illegible] ხელისმომწერლებს ჟურნალ-გაზეთებს, უფრო მეტიც — [illegible] დროულად.

ეს ს[illegible] დაუგზავნა მაიაკოვსკის რაისაბჭოს აღმასკომს, საიდანაც [illegible] შვილმ[illegible] ორგანიზებულობის რაიკანტორის უფროსმა ბუხულეიშვილმა [illegible] რების [illegible] ჟურნალ-გაზეთებისა და საფოსტო გზავნილებათა ჩაბარების [illegible]

ამ ღ[illegible] მ. ენდელაძის წერილი, სოფელ წითელხევის ფოსტალიონი [illegible] ცუდად მუშაობს და როგორ მოვიქცეთ.

ამ ფ[illegible]ტალი[illegible]თ, მაიაკოვსკის რაისაბჭოს აღმასკომი გასცემს.

ეროვნული ბიბლიოთეკა

# სოფლის თავკაცი

— წყალი!

— გამოვიყვანოთ წყალი!

ეს სიტყვა ესმოდა ვლადიმერს ყველგან: ქუჩაში, სახლში, სამსახურში, ესმოდა სიზმარში თუ ცხადლივ...

სოფელში ოცნებად ჰქონდათ გადაქცეული — როდის დაეწაფებიან ცივ წყაროს, გულს მოიოხებენ, წყურვილს მოიკლავენ და ტუჩებს გაიგრილებენ.

— წყალი! გესმის, ძამიკო? წყალი მწყურია, — სლუკუნებდა ვლადიმერის პატარა და ნანული.

— ამ საქმეს რომ არა ეშველარა, უწყლობით იხრჩობა სოფელი, — ბუტბუტებდა ვლადიმერის დედა.

— დედი, კედლიდან ჩამოხსენ აი ის ხალიჩა.

— უცნაური პასუხია!

— ჩამოხსენ-მეთქი! — გაბრაზებით ჩაილაპარაკა ვლადიმერმა, და ერთხელ კიდევ შურით შეხედა ხალიჩას, რომელზეც გამოსახული იყო დათოვლილი მთები, მაღალ ხეებს შორის საამურად მოლივლივე მთის ანკარა მდინარე, წყალს დაწაფებული ქორბუდა ირმები... ეჰ, რამდენჯერ უნატრია ვლადიმერს, ოღონდაც ეს მდინარე სოფელში მოგვცაო...

— ჩამოხსენ, დედი, გთხოვ, ნერვებზე მოქმედებს.

— თუ კი სოფელს ეშველება...

ტელეფონი რეკავს. ვლადიმერმა მორიდებით აიღო ყურმილი. ვიღაცა როხროხა ხმით გაიძახის:

— წყალი! მოგვეცით წყალი!

ვლადიმერმა სასოწარკვეთით ჩასძახა:

— ქარხნის დირექტორი ხარ, შენ თვითონ იზრუნე! რთველი ახლოვდება? მარანი მოუმზადებელია? ყველაფერი კარგად ვიცი. „ჩაჩაანის" უბნიდან გადაიტანეთ არტეზიული ჭის წყალი. ცოტაა?! ბევრი ალაზანზეა. არც ისე შორს არის, ადრევე გითხარით ცისტერნები მოიშველიეთ, სასოფლო საბჭო მუჭით ხომ ვერ მოგიზიდავთ! — ყურმილი დაკიდა, სახლის აივანზე გავიდა. შემდეგ იქვე, ტახტზე წამოწოლილ მამას მიუტრიალდა და აღელვებულმა ჰკითხა.

— როგორ მოვიქცე? მასწავლე, მამი.

ალექსანდრე წიგნს კითხულობდა. თავი ასწია, ადგილი ჩაინიშნა, წიგნი დახურა და ფეხზე წამოდგა, მთასავით წამოადგა თავზე შვილს. თვალებში ჩააცქერდა, გაფითრებულ შუბლზე გადაუსვა ხელი და ღიმილით უთხრა:

— ხალხმა აგირჩია, და გეუძეხ კიდეც!

— ისინი შეცდნენ, შენი ავტორიტეტი მოიშველიეს.

მართლაც, ალექსანდრე ოგანოვს სოფლის თავკაცს ეძახიან, ათ წელს ხელმძღვანელობდა სასოფლო საბჭოს. ეს იყო მაშინ, როცა მშობლიურ მიწაზე დენთი ხრჩოლავდა, სიკვდილის აჩრდილი კარდაკარ დაძრწოდა. „კარპოვიჩი", როგორც მას ხალხმა შეარქვა, ზურგში იბრძოდა. უძილო ღამეები, შფოთიანი დღეები... ალექსანდრე დღისით სოფელს ხელმძღვანელობდა, ღამით სახალხო რაზმეულს. „კარპოვიჩის" ხელმძღვანელობით ველისციხელებმა თვითმფრინავი შეიძინეს. გამანადგურებელი ფაშისტებს რისხვად ატყდებოდა... მაშინ ჭაბუკი ვლადიმერი გვერდიდან არ მოსცილებია. რაზმთან ერთად ფეხდაფეხ დასდევდა დესანტებს, ერთხელ ჰერმის ტყეში ჯაშუში გათოკეს, მთავრობის ჯილდო ვლადიმერმაც დაიმსახურა.

წლებმა გაირბინა. ახლა სასოფლო საბჭოს თავმჯდომარედ „კარპოვიჩის" შვილი ვლადიმერი აირჩიეს. საქმეს მოწადინებით მოჰკიდა ხელი და სამ წელიწადში ათეული წლების საქმე გააკეთა. მას მხარდამხარ მიჰყვებოდა კოლმეურნეობის თავმჯდომარე დიმიტრი მამისაშვილი. სოფელში დადგეს ნახევრადავტომატური სატელეფონო სადგური. კავშირი გაბმულია მეცხოველეობის ფერმებთან, სოფლის ყველა დაწესებულებაში, — აფთიაქში, საავადმყოფოში, ღვინის ქარხანაში, კოლმეურნეობებში, სკოლებში, კლუბში სპეციალისტებთან, ბრიგადირებთან, თანამდებობის პირებთან, ველისციხეში აშენდა ავტოსადგური. ავტობუსი „ველისციხე-თბილისი" ყოველდღიურ რეისს აკეთებს, აშენდა ასფალტის ქარხანა, სოფელში 30 ათას კვადრატულ მეტრ ფართობზე მეტია მოასფალტებული, ახლო მომავალში ველისციხის ყველა ქუჩა მოასფალტდება. ამას წინათ დამთავრდა მშენებლობა კინოთეატრისა 340 მაყურებლისათვის. აშენდა ორი აბანო, პურის საცხობი, მომავალ წელს დამთავრდება სამკორპუსიანი სკოლის შენობა. ველისციხელებისათვის კი ყველაზე დაუვიწყარია ილიჩის შუქი. სასოფლო საბჭოს ხელმძღვანელობით მთლიანად შეიცვალა ელექტროგაყვანილობის ძველი ქსელი, რისთვისაც ნახევარი მილიონი მანეთი დაიხარჯა და ახლა ველისციხეს რუსთავი აძლევს ელექტროენერგიას. კოლმეურნეობებმა შეიძინეს 19 კილომეტრი სიგრძის მილები, მომავალ წელს გურჯაანიდან მიიღებენ წყლის დიდ მარაგს. მაგრამ ახლა?... ხალხი უწყლოდ იყოს?

ვინ მოსთვლის, რამდენი ენერგია დაუხარჯავს ვლადიმერს სოფლის საკეთილდღეოდ. ფიქრი, ოცნება, რამდენი ახალგაზრდული ფანტაზია და შორსჭვრეტა...

მამას სწამს შვილის უნარიანი ხელმძღვანელობა, იშვიათად ერევა მის საქმიანობაში. ალექსანდრემ პირმშოს ჩაუნერგა ხალხისადმი სიყვარული, სოფლისათვის ზრუნვა, სინდისი, პატიოსნება.

— და მაინც სდუმხარ! ასე მგონია, დამცინი. გესმის, მამი, შენი გამოცდილება ძვირფასია ჩემთვის. შენც გიმძიმს?

ალექსანდრემ აღელვებულ შვილს ღიმილით შეხედა. ამ აღელვებაში იგი რაღაც სიამეს გრძნობს, ხელები ზურგზე შემოიწყო და ღია ფანჯარას მიეყრდნო.

— იცინი, იცინი, მე კი არ მეკითხები. წყალზე დროულად რომ გეფიქრა მე თავსატეხი აღარ მექნებოდა, — გაბრაზებით თქვა ვლადიმერმა და ზურგი შეაქცია.

— ჩემ დროს სოფელს წყალი არ მოჰკლებია, თუმცა მაშინ სოფელიც პატარა იყო, ხალხიც ცოტა.

— წყარო არა ჩანს, სად დაიკარგა?

— ლამაზი ონკანების მშენებლობას სჯობდა ჯერ წყალი მოგეძებნა. თუმცა ურიგო როდია, გაივლი ქუჩებში და გხიბლავს ცემენტით მოპირკეთებული ონკანები. თუ არა ვცდები მგონი 52 უნდა იყოს...

ერთხანს დუმილი ჩამოვარდა, შემდეგ ალექსანდრე მოუტრიალდა შვილს და შუბლშეკრული შეეკითხა:

— სათავეში ყოფილხარ?

— არა! — უპასუხა ვლადიმერმა და მამის ფართო შუბლს დააცქერდა.

— არა და, წყალს აქ არავინ მოგიტანს. წადი, ნახე, მოსინჯე, იპოვნე დაკარგული წყაროები.

* * *

ვლადიმერი ორ დღეს არ გამოჩენილა სასოფლო საბჭოს აღმასკომში. მოხუცი ნასყიდა დათუაშვილი, რომელსაც „აღმასრულებელს" ეძახიან, აქ მოსულებს ერთი და იმავე პასუხით ისტუმრებდა:

— საქმეზეა წასული, საშვილიშვილო საქმეზე!

ვლადიმერი და მისი გამოცდილი მოადგილე არსენა ბადუაშვილი სათავეში დიდხანს დაეძებდნენ დაკარგულ წყაროებს. მალე წყლის ნაკვალევი აღმოაჩინეს.

დაიწყო სათავის მშენებლობა. სოფელში სიხარულის ამბავი დაირხა, ხალხი ერთსულოვნად ჩაება მშენებლობაში, მიწის წიაღში დაკარგულ წყაროებს ერთად მოუყარეს თავი.

დაუვიწყარი დღე... წლობით გამშრალი ონკანებიდან გადმოსჩქეფა წყალმა.

— ახლა კი დროა კედელზე ხალიჩა ჩამოვკიდო.

ვლადიმერს გაეღიმა, დედას ირიბად გახედა და სიცილით უპასუხა:

— არა, წყალი ჯერ კიდევ ცოტაა. ერთი წელიც, და...

**გ. ხეჩუაშვილი.**

## ადრეული დოლი

სიღნაღის რაიონის ქვემო მაჩხაანის მახარაძის სახელობის კოლმეურნეობაში ადრეული დოლი დაიწყო. მეცხვარეობის პირველ ბრიგადაში (ბრიგადირი ა. ჭუჭულაშვილი) უკვე მიღებულია 100 ბატკანი. აქ სულ დადოლდება 500 დედაცხვარი. მოწინავე მეცხვარეები ი. გვიაშვილი, ზ. კოჭლამაზაშვილი, ი. პაპუაშვილი პირობას იძლევიან დოლი წარმატებით დაამთავრონ პარტიის ცენტრალური კომიტეტის დეკემბრის პლენუმის მოწვევის დღისათვის და ნამატი მთლიანად შეინარჩუნონ.

ამ ბრიგადამ გაზაფხულზე მიღებული ნამატიც ასი პროცენტით შეინარჩუნა და თვითეულ ცხვარზე მიიღო 4,5 კილოგრამი მატყლი ნაცვლად გეგმით გათვალისწინებული 3,5 კილოგრამისა.



# მშვენდება ქალაქები და სოფლები

### კინოთეატრი „საქართველო"

**ზუგდიდი.** (საკ. კორ.). აქ საზეიმო ვითარებაში გაიხსნა ახალი ფართოეკრანიანი კინოთეატრი „საქართველო". ქართული ორნამენტებით დამშვენებული ეს ლამაზი შენობა ამაყად გადაჰყურებს რაფიელ ერისთავის მიერ გაშენებულ ხეივანსა და ასწლოვან ჭადრებს. კინოთეატრი 650 მაყურებელს იტევს. მისი მშენებლობა დაჯდა მილიონ მანეთზე მეტი.

### სიახლენი რუსთავში

**რუსთავი.** (საკ. კორ.). მრავალრიცხოვან სამშენებლო ობიექტებთან ერთად ამ დღეებში მტკვრის მარჯვენა ნაპირის დასახლებაში საექსპლოატაციოდ გადაეცა ფართოეკრანიანი კინოთეატრი. ახალგაზრდობის მოთხოვნით მას დაერქვა „კომკავშირელი". ამრიგად, თუ ორი-სამი წლის წინათ აქ ერთი საცხოვრებელი სახლიც კი არ იდგა, ახლა აქაურ ათასობით მცხოვრებს აქვს არა მარტო კომფორტაბელურად მოწყობილი საცხოვრებელი სახლები, არამედ საშუალო სკოლა, აფთიაქი, კულტმომსახურების კომბინატი, მაღაზიები, სასადილოები და სხ.

### ავტომატური სასაუზმე

**სტალინირი.** (საკ. კორ.). ტელმანის ქუჩაზე გაიხსნა ავტომატური სასაუზმე. ავტომატების საშუალებით იყიდება ფუნთუშეული, ბუტერბროდები, ხორცის ნაწარმი. ავტომატები ჰყიდიან სასმელებს: ლუდს, ღვინოს, კონიაკს. სასაუზმესთან არის აგრეთვე ნახევარფაბრიკატების განყოფილება დიდი ასორტიმენტით.

### შემნახველი სალაროები საწარმოებში

**ხაშური.** (საკ. კორ.). მშრომელთა შეძლებულობისა და კულტურული დონის ზრდასთან ერთად განუწყვეტლივ იზრდება მეანაბრეთა რაოდენობა ხაშურის რაიონის შემნახველ სალაროებში. მუშამოსამსახურეთა უკეთ მომსახურების მიზნით ახალი შემნახველი სალაროები გაიხსნა ხაშურის აგურის ქარხანაში, სალოკომოტივო და სავაგონო დეპოებში.

### ეს ოქტომბრის მონაპოვარია

**ბოლნისი.** (საკ. კორ.). კაცი, რომელიც უკანასკნელ ხანს აღარ ყოფილა დაბა ბოლნისში, ველარც კი იცნობს მას. დაბის ცენტრში აშენდა ახალი საცხოვრებელი სახლები, ადმინისტრაციული შენობები, კულტურულ-საყოფაცხოვრებო ობიექტები, გაყვანილ იქნა ახალი ქუჩები. ამ დღეებში საექსპლოატაციოდ გადაეცა ახალი საკოლმეურნეო ბაზარი. მთლიანად მოასფალტდა ლენინისა და სააკაძის ქუჩები, გაიხსნა წიგნის მაღაზია და კულტმომსახურების კომბინატი.

დაბის ცენტრს დიდი ელფერი შემატა ახლახან აგებულმა კულტურის სახლმა. მის ეზოში დაიდგა სულხან-საბა ორბელიანის ძეგლი, დაირგო დეკორაციული მცენარეები.

* * *

სურათზე: ახალი კინოთეატრი „საქართველო" ზუგდიდში.

ფოტო ბ. სოკოლოვისა (საქდესის ფოტოქრონიკა).

# ვოლგელები მოხიბლა

## ქართულმა ხელოვნებამ

დიდი ოქტომბრის 42-ე წლისთავის წინ აფიშებმა კუიბიშეველებს ამცნეს სასიამოვნო ამბავი, რომ ქალაქში გაიმართებოდა ქართველ მსახიობთა გასტროლები. უნდა აღინიშნოს, რომ კუიბიშევი ვოლგისპირეთში ცნობილია როგორც მაღალი თეატრალური, კერძოდ მუსიკალური კულტურის ქალაქი.

ვოლგელებმა იცოდნენ, რომ საქართველოს სიმღერისა და ცეკვის ანსამბლი, რომლის მხატვრული ხელმძღვანელია ხელოვნების დამსახურებული მოღვაწე ა. კავსაძე, ჩვენი ქვეყნის ერთ-ერთი დამსახურებული კოლექტივია. იცოდნენ თბილისის ოპერისა და ბალეტის თეატრის შემოქმედებითი მიღწევების შესახებ. მაგრამ იმან, რაც მათ მოისმინეს და ნახეს ქართველ მსახიობთა კონცერტებზე, ყოველგვარ მოლოდინს გადააჭარბა.

ანსამბლის პირველი კონცერტი გაიმართა კუიბიშევის მისადგომზე — ქალაქ ჩაპაევსკში. ჩაპაევსკელებმა ღირსეულად შეაფასეს ქართველ მსახიობთა მაღალი შემსრულებლობითი ოსტატობა. ანსამბლის შემდგომი გამოსვლების დროს კუიბიშევის ოფიცერთა სათლქო სახლში, მეტალურგთა სასახლეში და სხვ. დარბაზები ვერ იტევდა კონცერტებზე დასწრების ყველა მსურველს.

ქართველმა მსახიობებმა მსმენელები მოხიბლეს მკაფიო და გულშიჩამწვდომი შესრულებით. დიდებულად ჟღერდა „სიმღერა პარტიაზე". მშვენიერი შთაბეჭდილება დატოვა ანსამბლის მიერ შესრულებულმა „ბალადამ სახალხო გმირ არსენაზე", ფართოდ ცნობილმა მელოდიებმა „სულიკომ" და „ციცინათელამ" და ქართული ხალხური შემოქმედების სხვა ნაწარმოებებმა.

დიდი წარმატებით სარგებლობდა ხელოვნების დამსახურებული მოღვაწის ბალეტმეისტერ ჯ. ბაგრატიონის მიერ მომზადებული „ძველი თბილისის სურათები".

ასევე წარმატებით ჩაიარა კონცერტებმა, რომლებიც კუიბიშევის ოლქის ჰიდრომშენებლების, მენავთობეებისა და ქიმიკოსებისათვის გამართეს თბილისის ოპერისა და ბალეტის თეატრის მსახიობმა, რესპუბლიკის სახალხო არტისტმა მერი ნაკაშიძემ, თბილისის ფილარმონიის სოლისტმა ბარიტონმა ლევან წივწივაძემ და რუსუდან ელიავამ (როიალი).

„საქართველოს კვირეული" — ასე უწოდეს კუიბიშეველებმა კვირეულს, რომელიც საქართველოს ხელოვნების ნიჭიერ წარმომადგენელთა დამსახურებული წარმატებით აღინიშნა.

**ლ. იურინი.**

ქ. კუიბიშევი.

## კრიტიკა და ბიბლიოგრაფია

# სასარგებლო ნაშრომი

სტატისტიკას და აღრიცხვას უაღრესად დიდი მნიშვნელობა აქვს ჩვენი ქვეყნის სამეურნეო და კულტურულ მშენებლობაში, წარმოების ახალი რეზერვების გამოვლინებასა და გეგმიან მუშაობაში. ვ. ი. ლენინი წერდა: „სოციალიზმი — აღრიცხვაა", ხოლო „სოციალურ-ეკონომიური სტატისტიკა სოციალური შემეცნების ყველაზე ბასრი იარაღია".

აქედან ცხადია იმ სტატისტიკური კრებულების დიდი მნიშვნელობა, რომლებიც უკანასკნელი წლების განმავლობაში გამოქვეყნდა. ისინი ფრიად ძვირფას მონაცემებს იძლევიან ჩვენს სამშობლოში ფართოდ განხორციელებული სამეურნეო-კულტურული მშენებლობის შესახებ.

საქართველოს სსრ სტატისტიკის სამართველომ ამას წინათ გამოსცა სტატისტიკური კრებული, რომელიც მდიდარი და მრავალფეროვანია თავისი მონაცემებით. კრებულში არსებული მასალები დაყოფილია თავებად მეურნეობის ცალკეული დარგების მიხედვით.

თვითეულ თავში მოთავსებული ციფრობრივი მონაცემები საკმაო სისრულით ასახავენ იმ უდიდეს მიღწევებს, რომლებიც ჩვენმა სამშობლომ საბჭოთა ხელისუფლების დამყარების შემდეგ მოიპოვა ქვეყნის ინდუსტრიალიზაციისა და სოფლის მეურნეობის სოციალისტური რეკონსტრუქციის შედეგად.

კრებულში დეტალურად გაშუქებულია სახალხო მეურნეობის ცალკეული დარგების განვითარების შედეგად მიღწეული დონე, ამა თუ იმ დარგების ალნაგობა ცალკეული რაიონებისა და ავტონომიური ერთეულების მიხედვით. ცნობები მოცემულია აგრეთვე ქალაქებისა და მსხვილი დასახლებული პუნქტების მიხედვით.

სოფლის მეურნეობის მთელი რიგი საკითხები კრებულში განხილულია მეურნეობათა კატეგორიების მიხედვითაც (საბჭოთა და სხვა სახელმწიფო მეურნეობები, კოლმეურნეობები, კოლმეურნეობების წევრთა და მუშა-მოსამსახურეთა დამხმარე მეურნეობები და სხვ.). ეს კიდევ უფრო საინტერესოს ხდის კრებულს და ათვალსაჩინოებს იმ უდიდეს სოციალურ-ეკონომიურ ძვრებს, რაც ჩვენს ქვეყანაში განხორციელდა.

კრებულში მოთავსებულ აბსოლუტურ რიცხვებს თან ახლავს სათანადო ინდექსებიც. შედარებები წარმოებულია არა მარტო ახლობელ წლებთან, არამედ ზოგჯერ უფრო შორეულ — რევოლუციამდელ პერიოდთან, რაც მთელი სიცხადით გადმოგვცემს სათანადო დარგების განვითარების დინამიკას.

ერთი სიტყვით, კრებული ფრიად საინტერესო და სასარგებლო ნაშრომს წარმოადგენს საბჭოთა, პარტიული და პროფკავშირული მუშაკებისათვის, ეკონომისტებისათვის, ეკონომიური გეოგრაფიის შემსწავლელთათვის, სპეციალისტთა ფართო წრისათვის და სათანადო დარგების უმაღლესი სასწავლებლების პედაგოგებისა და მოსწავლეებისათვის.

სასურველია, თუ ახალი სტატისტიკური კრებულის გამოცემისას ავტორები მხედველობაში მიიღებენ, რომ სტატისტიკურ კრებულში მასალები ქვეყნდებოდეს ქართულ და რუსულ ენებზე, აგრეთვე სტატისტიკური კრებულები უნდა შეივსოს შემდეგი განყოფილებებით: საბინაო-კომუნალური მეურნეობა, სსრ კავშირის ეკონომიკისა და კულტურის ძირითადი მაჩვენებლები მთლიანად და მოკავშირე რესპუბლიკების მიხედვით, ზოგიერთი მონაცემები მსოფლიო სტატისტიკიდანაც. სტატისტიკურ კრებულებში უნდა თავსდებოდეს აგრეთვე მონაცემები ნაციონალური შემოსავლის დინამიკასა და სტრუქტურაზე, სოფლის მეურნეობის საერთო და სასაქონლო პროდუქციაზე.

ცხადია, ყველა ამ ღონისძიების განხორციელება რამდენადმე გაართულებს კრებულის გამომცემელთა შრომას, მაგრამ სამაგიეროდ უფრო მაღალხარისხოვანს და საინტერესოს გახდის მათი მუშაობის ნაყოფს.

**ლ. კარბელაშვილი,**
პროფესორი, ეკონომიურ მეცნიერებათა დოქტორი.

# დიასახლისს შრომა უმსუბუქდება

ჩვენს დედაქალაქში დღითიდღე უმჯობესდება მშრომელთა მომსახურება საზოგადოებრივი კვების პროდუქტებით. იხსნება ნახევარფაბრიკატებისა და კულინარიული ნაწარმის მაღაზიები, რომლებიც დიდ დახმარებას უწევენ მშრომელებს, განსაკუთრებით კი დიასახლისებს.

კაპიტალური რემონტისა და რეკონსტრუქციის შემდეგ თბილისში ჯორჯიაშვილის ქუჩაზე რესტორან „თბილისთან" გაიხსნა ნახევარფაბრიკატების, კულინარიული და საშაქარლამო ნაწარმის მაღაზია, რომელიც აღჭურვილია ახალი სამაცივრო და ტექნოლოგიური დანადგარებით.

მაღაზიას აქვს სპეციალური განყოფილება, სადაც წარმოებს სადილების გაცემა როგორც წინასწარი დაკვეთით, ისე სახლში მიტანით. მსურველი მაღაზიას ურეკავს ტელეფონით და აცნობებს, თუ რა სახის სადილი ესაჭიროება. წინასწარ შეთანხმებული დროის მიხედვით მაღაზიის სპეციალური მოტოროლერით ცხელი სადილი მიაქვთ დამკვეთთან. ამასთან სადილის დაკვეთისას მოქალაქე არ იხდის ტრანსპორტის ფასს, ხოლო თუ სადილს თვითონ წაიღებს მაღაზიიდან, მაშინ იხდის ღირებულების 10 პროცენტით ნაკლებს. მაღაზიას აქვს საშაქარლამო, კულინარიული, საკონდიტრო ნაწარმის კეთილმოწყობილი სექციები.

ნახევარფაბრიკატების ასეთი მაღაზიები დიასახლისს შრომას უმსუბუქებს.

# სტუდენტთა საერთაშორისო კვირეული

მიმდინარე წელს მეოცეჯერ აღინიშნება სტუდენტთა საერთაშორისო დღე — მსოფლიოს ახალგაზრდობის მოწინავე და ორგანიზებული რაზმის მეგობრობისა და ძმობის დღესასწაული. ამ დღის წინ სტუდენტთა საერთაშორისო კავშირის ინიციატივით ეწყობა სტუდენტთა საერთაშორისო კვირეული, რომელიც მიზნად ისახავს სხვადასხვა ქვეყნის სტუდენტთა ორგანიზაციების რიგების ერთიანობის განმტკიცებას, სტუდენტთა ურთიერთობის გაფართოებას.

სტუდენტთა საერთაშორისო კვირეულის მოწყობაში ჩვენი სამშობლოს ყველა ქალიშვილთან და ჭაბუკთან ერთად აქტიურად მონაწილეობს საქართველოს ახალგაზრდობა. კვირეულთან დაკავშირებით რესპუბლიკის უმაღლეს სასწავლებლებში იმართება კრებები, საღამოები, მხატვრული თვითმოქმედების დათვალიერება, სტუდენტთა საუკეთესო კედლის გაზეთების კონკურსები, კარნავალები.

ბევრი საინტერესო ღონისძიება ეწყობა ამ დღეებში თბილისის სტალინის სახელობის სახელმწიფო უნივერსიტეტში. უნივერსიტეტის მხატვრული თვითმოქმედების კოლექტივებმა მოამზადეს მრავალფეროვანი პროგრამა სამრეწველო საწარმოებსა და ქალაქის სხვა უმაღლეს სასწავლებლებში საჩვენებლად. უნივერსიტეტის სპორტსმენებს ჰქონდათ შეხვედრები ფიზიკური კულტურის ინსტიტუტის სტუდენტებთან. 800-ზე მეტი სტუდენტი მონაწილეობდა ახალი რაიონული ცენტრის — საბურთალოს ტერიტორიის გამწვანებისათვის მოწყობილ შაბათობაში.

ვ. სარაჯიშვილის სახელობის სახელმწიფო კონსერვატორიის მცირე დარბაზში გაიმართა კონსერვატორიის, რუსთაველის სახელობის თეატრალური ინსტიტუტისა და სამხატვრო აკადემიის სტუდენტთა დასვენების საღამო.

საღამოს დაუკავშირდა ახალგაზრდა მხატვრების ნაწარმოებთა გამოფენა.

ახალგაზრდობის საღამოები და კრებები, მიძღვნილი სტუდენტთა საერთაშორისო კვირეულისადმი, იმართება აგრეთვე საქართველოს ზოოვეტერინარიისა და სასოფლო-სამეურნეო ინსტიტუტებში, პუშკინის სახელობის პედაგოგიურ ინსტიტუტში და სხვა უმაღლეს სასწავლებლებში. (საქდესი).

# მინდა პატიოსნად გავუსწორო თვალი ადამიანებს

რედაქციაში არაჩვეულებრივი წერილი მოვიდა ხარკოვიდან. წერილის ავტორი, ვაჭრობის მუშაკი ვ. ა. გეტმანი, მოგვითხრობს, რა დანაშაულობანი ჩაუდენია. ეს დანაშაულობანი არავინ არ იცოდა, და ისინი გახსნილი არ ყოფილა.

რამ აიძულა გეტმანი „მოენანიებინა" დანაშაული? ამას მკითხველები შეიტყობენ წერილიდან, რომელსაც მთლიანად ვაქვეყნებთ.

**ეს წერილი** უეცარი გადაწყვეტილების შედეგი როდია. იმის ფიქრი, რომ ბოლო მომეღო იმ ცხოვრებისათვის, რომლითაც ვცხოვრობდი, დიდი ხანია მაწუხებდა. თავდაპირველად გამბედაობა არ მყოფნიდა იმისათვის, რომ თავაშვებული, უწესო ცხოვრება სასტიკ სასჯელზე გამეცვალა. მაკავებდა ის, რომ არ მინდოდა ჩამეგდო ამხანაგები, პირადად ჩემთვის მათ ხომ ცუდი არაფერი გაუკეთებიათ. ახლა გადავწყვიტე. არა მარტო იმიტომ, რომ ვიცი: ადრე თუ გვიან ჩავვარდები. მივხვდი და დავინახე, თუ რა ფუჭი და უმიზნოა ჩემი ცხოვრება.

33 წლისა ვარ. თუ გავითვალისწინებთ იმ ცოდნას, რომელიც სახელმწიფომ მომცა (მიღებული მაქვს უმაღლესი სავაჭრო განათლება), პოლიტიკურად მომზადებული ადამიანი ვარ. და მაინც დროის მსვლელობაში ეგოისტურად მოვაწყე საქმე ისე, რომ ვცხოვრობდი მხოლოდ ჩემთვის, რასაც ფარისევლურად ვამართლებდი თეორიით — „სიცოცხლე ერთია და აიღე მისგან ყველაფერი, რაც შეგიძლია, ამისათვის კი ყველა საშუალება კარგია"!

ჩემი დაცემა, რა თქმა უნდა, თანდათანობით მოხდა. დაიწყო მცირედით. მერე კი ლოთობამ, ქეიფმა ჩამითრია, საჭირო იყო სულ უფრო და უფრო მეტი ფული. სინდისი დუმდა, და ფულს მოვულობდი ყოველნაირი უპატიოსნო გზით.

ლოთი-ალკოჰოლიკი როდი ვარ. არა! ყოველთვის მიყვარდა კითხვა და ბევრ კარგ წიგნს ვკითხულობდი, ცხოვრებას კი ძველებურად განვაგრძობდი, თავს ვაიძულებდი მეფიქრა, რომ სინამდვილე უფერულია, რომ ადამიანები პირადულზე უფრო ზრუნავენ, ვიდრე საზოგადოებრივზე. ძალიან ვაიძულებდი თავს ასე მეფიქრნა, მაგრამ ირგვლივ მყოფთა ცხოვრება სულ უფრო და უფრო ძლიერად მეტყველებდა. და რაც უფრო გადიოდა დრო, მით უფრო და უფრო ვხვდებოდი, რაოდენ უბადრუკი და უმიზნოა ჩემი ცხოვრება.

ვმუშაობდი და ვმუშაობ ვაჭრობაში. აქ, ჩემი აზრით, ყველაზე მეტი დარჩენ ისეთი ადამიანები, რომლებიც უპატიოსნო შრომით ცხოვრობენ. ზოგს დანაშაულისათვის ბიძგს აძლევს ქეიფის სურვილი, ზოგს — კრიჟანგობა, განსაკუთრებული კეთილმოწყობისადმი მისწრაფება, სხვებს — ყველაფერი ცოტ-ცოტად.

ჩვენ ყველას, ისეთებს, როგორიც მე ვარ, თავისებური „გამართლება" გვაქვს. იმიტომ ვქურდობთ, რომ მცირე ხელფასს ვიღებთო. მაგრამ თვითონ ჩვენ გვესმის, რომ ეს მართალი არ არის. ვაჭრობის მეტ წილ მუშაკებს არც ისე დაბალი ხელფასი აქვთ, სრულებითაც არა ნაკლები, ვიდრე სხვებს.

ცრუ ამხანაგობის გრძნობა დიდხანს მიშლიდა ხელს იმაში, რომ გამეკეთებინა ეს თვითმხილება. ჩემთან ერთად ხომ დაისჯებიან ყველანი, ვისაც ამ წერილში ვიხსენიებ. რა გაეწყობა! მე თვითონ იქამდე მივედი, რომ მხოლოდ სასჯელის მოხდის შემდგომ შევძლებ დავიწყო ახალი ნამდვილი ცხოვრება.

ახლა, ლიტონი სიტყვები რომ არ გამომივიდეს, კონკრეტულად ვიტყვი თვით ჩემ დანაშაულობათა შესახებ.

პირველი ქალაქმრეწვავაჭრობის № 25 მაღაზიის გამგედ რომ ვმუშაობდი, ზოგიერთ საქონელს ფასს ვუმატებდი. ამის გაკეთება დავიწყე მაღაზიების ზოგიერთი გამგის მაგალითის მიხედვით, რომლებმაც თავისიანად მცნეს და თანდათანობით გამაცნეს „ვაჭრობის საიდუმლოებანი".

როგორ მოხდა ყოველივე? იმ დროს ბევრ საქონელს მაღაზიები უშუალოდ მიმწოდებლებისაგან იღებდნენ. მიმწოდებელი-არტელები, თუ საქონლის მიმღები მაინცდამაინც არ მოსწონდათ, ან სულ აჭიანურებდნენ საქონლის მოცემას, ან იძლეოდნენ ძნელად გასასაღებელ საქონელს. ამის შედეგად ის მაღაზიები, რომლებსაც „კავშირი" არ ჰქონდათ გაბმული, საკმაო რაოდენობით ვერ იღებდნენ საჭირო საქონელს და იმ საფრთხეში იყვნენ, რომ საქონელბრუნვის გეგმა ვერ შეესრულებინათ. ჩემდამი რწმუნებული მაღაზია სწორედ ასეთ მდგომარეობაში აღმოჩნდა. თავდაპირველად მივმართავდი სავაჭრო ორგანიზაციის ხელმძღვანელობას, მაგრამ იქ, ეტყობა, იცოდნენ ეს, ებრძოდნენ ამას, მაგრამ იმ დროს არსებული განაწილებისას არაფრის გაკეთება არ შეეძლოთ. ბოლოს და ბოლოს მეც იძულებული გავხდი მაღაზიის ცალკეული გამგეების მეშვეობით დანაშაულებრივი კავშირი დამემყარებინა არტელებთან.

ს. მ. კიროვის სახელობის არტელში ფეხსაცმელი რომ მიგეღო, წყვილში მანეთი უნდა გადაგეხადა. მე, ისევე როგორც სხვები, სწორედ ასე ვიქცეოდი და ვიღებდი ისეთ ფეხსაცმელს, რომლის ფასების მომატებაც შეიძლებოდა. ფეხსაცმლის მოცემისას არტელის მეკუჭნავე ქალი (გვარი არ მახსოვს) ზოგჯერ ხარისხს ცვლიდა: მესამე ან მეორე ხარისხს გამომიწერდა, ფაქტიურად კი პირველს მაძლევდა.

არტელ „შუქურაში" საქონლის მიღებისათვის ფულს ვაძლევდი აგრეთვე მომარაგების გამგეს იმის მიხედვით, თუ რა საქონელს იძლეოდა და ამ საქონლით რამდენი ზედმეტის მიღება შეიძლებოდა ფასების მომატების გზით. არტელ „მეტყავეში" მე თვითონ უშუალოდ არ ვიხდიდი ფულს საქონლისათვის, მაგრამ საქონელი რომ მიმეღო, თვითეულ შემთხვევაში 300 მანეთს ვაძლევდი მაღაზიის გამგე მ-ს არტელის თავმჯდომარისათვის გადასაცემად. (წერილში მოყვანილი ფაქტებით უთუოდ დაინტერესდებიან გამოძიების ორგანოები. ამიტომ სახელები და გვარები მოცემულია შემოკლებით. (რედ.).

ძერჟინსკის სარეწაო კომბინატშიც ვიღებდი ფეხსაცმელს, მაგრამ აქ რამდენადმე სხვა მდგომარეობა იყო. ზოგჯერ საქონელს კანონიერად გამოწერდნენ, მაგრამ მიღებისას მეკუჭნავე სენიასთვის, შემდეგ კი მიშასთვის უნდა მიმეცა ფული ხარისხის შეცვლისათვის ან სპეციალურად შერჩეული კარგად გასასაღებელი საქონლისათვის. მაღაზიაში ფასებს მომატებას და ხარისხშეცვლილი საქონლის რეალიზაციას გამყიდველები კ. და პ. ახორციელებდნენ.

მე ვიცოდი, რომ მაღაზიების იმ გამგეების შემოსავალთან შედარებით, რომლებიც „მარცხენა" საქონელს იღებენ, ჩემი შემოსავალი უმნიშვნელო რამეა. მაგრამ „მარცხენა" საქონლის მიღებას ძალიან საიდუმლოდ ინახავდნენ, მისი მიღება მხოლოდ იმას შეეძლო, ვისაც დიდი ხნიდან ჰქონდა დამყარებული კავშირი.

ერთხელ პასაჟში მოვიდა ვისკოზური ტრიკო, რომელიც მეტრი 85 მანეთი ღირდა. ეს მასალა დახლიდან არ იყიდებოდა. მე კი გამყიდველმა ს-მ 5-7 ნაჭერი მომიწყო მეტრი 120 მანეთად. ამიხსნა, რომ თვითონ ზედმეტს აძლევდა მთელ პარტიაში. მე ჩემი მხრივ ეს მასალა მივეცი ჩემს ხასას ს-ს, რომელმაც შემდეგ გამომჭრელ დავითს მიჰყიდა — ნაჭერი 500 მანეთად.

1957 წლის შემოდგომაზე მუტონის ტყავები ვიშოვნე ივანე ვ-სთან. თითო ტყავში 450 მანეთს ვიხდიდი, ვყიდდი 500 მანეთად. უფრო გვიან მან კიდევ რამდენიმე კრაველის ტყავი მომცა. სამი ტყავი შემსყიდველი ორგანიზაციის მუშაკს შ-ს მივყიდე, ორი — სპეკულანტ ადოლფს, დანარჩენი — ბეწვეულის შემრჩევ იაშკას. ტყავების გასაღებაში მეხმარებოდა და მათ თავისთან ინახავდა იგივე ს.

1958 წლის თებერვალში მაღაზიაში რევიზიამ 3.000 მანეთი ზედმეტი ფული აღმოაჩინა. ჩვენ შევცდით და არ ამოვიღეთ ფასების მომატებით მიღებული 1.000-1.200 მანეთი. რევიზორი დ. „ჩვენი კაცი" იყო, და რევიზიას ზერელედ აკეთებდა, რისთვისაც ფულს იღებდა.

1958 წლის აგვისტოდან მუშაობა დავიწყე ხარკომრეწვავაჭრობის შემსყიდველ ორგანიზაციაში. ამ საწარმოს მუშაკებმა მეგობრულად არ მიმიღეს. ჯერ-ერთი, იმიტომ, რომ სავაჭრო ორგანიზაციამ მათი კაცი დაითხოვა, ხოლო რაც მთავარია — არავის არ უნდოდა და ეშინოდა ახალი კაცისათვის გაეცნო შესყიდვის „საქმეების" სპეციფიკა. მე ვცდილობდი, რადგან ვიცოდი, რომ ადრე თუ გვიან გამაცნობდნენ საიდუმლოებას. და აი ჩემმა მეწყვილემ შ-მ განმიცხადა, რომ ქურდებმა 4.000 მანეთი მოჰპარეს და რომ თუ დავთანხმდებოდი მასთან ერთად მეძლია ხელფასი ამ თანხის დასაფარავად, იგი მთელ შემოსავალს (რა თქმა უნდა, უპატიოსნო შემოსავალს) გამინაწილებდა. მე დავთანხმდი. შემსყიდველთა, მათ შორის ჩემი, უკანონო შემოსავალი შემდეგისაგან შედგებოდა: თვითეულ შემსყიდველ ორგანიზაციასთან არის ერთი-ორი თანამგზავრი-სპეკულანტი. ჩვენთან ასეთები იყვნენ კაზიმირი, ნაუმი.

როგორ კეთდება ყველაფერი? შემფასებელი უარს ამბობს მიიღოს მოქალაქისაგან ესა თუ ის ნივთი ან მეტისმეტად დაბალ ფასს აძლევს. მაშინ სპეკულანტი ყიდულობს ნივთს, შემდეგ კი ხელახლა ჰყიდის. ზოგჯერ ჩამბარებლებს დეფიციტური ნივთები მოაქვთ, და შემოსავალი ცოტა კი არ გამოდის.

ამ ოპერაციებში ზოგჯერ ჩემი ხასა მონაწილეობდა. მასთან ერთად ერთხელ № 89 მაღაზიაში ავიღე სამი მეტრი ხელოვნური პლუში. მან იგი თავსაფრებად დაჭრა და კერძო ბაზარზე გაყიდა. როცა პლუში ავიღე, მაღაზიის გამგეს მეტრში ზედმეტი 20 მანეთი მივეცი. ს. თავსაფრებით დააკავეს და სოციალისტური საკუთრების დატაცებასთან ბრძოლის განყოფილების მუშაკ ამხ. ბ-სთან მიიყვანეს. შედგენილ იქნა ოქმი. მაგრამ საქმე მიყრუვდა.

ჩემს დანაშაულობასთან დაკავშირებით ბევრ ადამიანს ვიხსენიებ. მათი უმრავლესობის მიმართ დღეს არავითარი ეჭვი არ არსებობს. ამ ადამიანებთან კარგი ურთიერთობა მქონდა და მაქვს. ახლა დაძაბული ურთიერთობა მაქვს მხოლოდ შემსყიდველებთან. რადგან მათ შეიტყეს, რომ ვაპირებ ჩემი დანაშაულობის შესახებ ცენტრალურ კომიტეტსა და გაზეთს მივწერო. ამან შეაშფოთა ისინი, და ახლა ჩემი ისე ეშინიათ, როგორც „ჭირსანისა".

ჩემ მიერ აწერილი ბევრი დანაშაულის დამტკიცება და, მაშასადამე, მათი მონაწილეების პასუხისგებაში მიცემაც შეუძლებელია. ჩემი ეს დანაშაულობანი ხელისუფალთაგან არავინ არ იცის, ხოლო თუ ვინმე კიდევაც ხვდებოდა ან ხვდება, დამტკიცებას მაინც ვერ შეძლებდა. რაიმე კიდევაც რომ ყოფილიყო დამტკიცებული, ეს ყოველივე ჩადენილის უმნიშვნელო ნაწილი იქნებოდა და მე ღირსეულ სასჯელს ვერ მივიღებდი.

გთხოვთ დამიჯეროთ. რაც დავწერე, სრული სიმართლეა. დაე ჩემმა თანამონაწილეებმა, რომელთა დანაშაული დამტკიცებული არ არის, ცხადად შეიგნონ, რომ გაუხსნელი დანაშაულობაც შეიძლება გახსნილ იქნას.

**ვ. გეტმანი.**

ქ. ხარკოვი.

„იზვესტია", 13/XI.



საქართველოს ვ. ი. ლენინის სახელობის პოლიტექნიკური ინსტიტუტის სტუდენტები (მარცხნიდან მარჯვნივ): ნინო ორაგველიძე, თამაზ სიხარულიძე, ინგა როსი, იური ასილოვი, რიმა ლეინი.

ფოტო შ. ჩხეტიანისა.

# ომის ვეტერანთა ხმა

[illegible]

...დორფში ბონის მმართველი წრეების კიდევ ერთი ცდაა დარტყმა მიაყენონ დასავლეთ გერმანიის დემოკრატიულ ძალებს.

ომის საბჭოთა ვეტერანები უდიდესი გულისწყრომითა და შეშფოთებით ადევნებენ თვალყურს დასავლეთ გერმანიის ანტიფაშისტთა ორგანიზაციის — იმ პირთა გაერთიანების დასჯას, რომლებიც იდევნებოდნენ ნაცისტური რეჟიმის დროს.

ომის ვეტერანთა საბჭოთა კომიტეტი, გამოხატავს რა მილიონობით საბჭოთა ადამიანის — ომის ყოფილ მონაწილეთა ნებას, მტკიცე პროტესტს აცხადებს გერმანიის ფედერაციული რესპუბლიკის მშვიდობის მომხრეთა დევნის წინააღმდეგ და მხარს უჭერს ევროპის ქვეყნების საზოგადოებრიობის წარმომადგენელთა მრავალრიცხოვან გამოსვლებს, რომლებიც მოითხოვენ დაუყოვნებლივ შეწყდეს მშვიდობისათვის მებრძოლთა გასამართლება გერმანიის ფედერაციულ რესპუბლიკაში.

ჩვენ მოვითხოვთ შეწყდეს სამარცხვინო პროცესი დიუსელდორფში, შეწყდეს წინააღმდეგობის მებრძოლთა და ფაშიზმის მსხვერპლთა დევნა გერმანიის ფედერაციულ რესპუბლიკაში!

**ომის ვეტერანთა საბჭოთა კომიტეტი.**

# მომხიბლავია — ამბობენ ინგლისელები

[illegible]

# მღერის ნიკოლე ხერლია



თბილისს საგასტროლოდ ესტუმრა ცნობილი რუმინელი მომღერალი ბუქარესტის საოპერო თეატრის პრემიერი ნიკოლე ხერლია. ხერლიამ 1950 წელს დაამთავრა ბუქარესტის კონსერვატორია ბუქარესტის საოპერო თეატრის დამაარსებლის აურელ კოსტესკუს დუკას კლასით. ათი წელია ნიჭიერი შემსრულებელი წარმატებით გამოდის სცენაზე. მას ერთნაირი აღტაცებით იღებენ როგორც სამშობლოში, ისე საზღვარგარეთის ქვეყნებში. იგი არის ბერლინში, პრაღასა და ბუქარესტში გამართული საერთაშორისო კონკურსების ლაურეატი, ხოლო 1957 წ. ბელგიის ქალაქ ვერვიეში მიიღო დიდოფლის დიდი მედალი საუკეთესო ხმისა და საუკეთესო შესრულებისათვის.

ამჯერად ხერლია ამთავრებს თავის მეშვიდე საგასტროლო ტურნეს საბჭოთა კავშირში. ჩვენს დედაქალაქში ჩამოსვლამდე მომღერალი გულთბილად მიიღო მოსკოვის, რიგის, კიევის, მინსკის, ბაქოს საზოგადოებრიობამ. მოუთმენლად ელოდა მას თბილისელი მაყურებელიც. 15 ნოემბერს თბილისის ოპერისა და ბალეტის სცენაზე ნიკოლე ხერლიამ წარმატებით შეასრულა ჟერმონ-მამის როლი ვერდის ოპერა „ტრავიატაში". ახალგაზრდა მომღერლის პირველივე გამოსვლამ დაგვარწმუნა, რომ სცენაზეა დიდი ვოკალური კულტურის, ფართო საშემსრულებლო შესაძლებლობების და რთული სცენური ხელოვნების ბრწყინვალე ოსტატი. მისი ხავერდოვანი ბარიტონი თანაბრად სასიამოვნო და მიმზიდველია ყველა რეგისტრში. იმდენად კარგია ჟერმონ-ხერლია ვიოლეტასთან დუეტში, ისეთი სასიამოვნო შტრიხებით გვიხატავს მსახიობი ამ შეზღუდული, პროვინციელი ბურჟუას სახეს, რომ ჟერმონი ჩვეულების წინააღმდეგ მსმენელში იწვევს უფრო მეტ სიმპათიას, ვიდრე გაკიცხვას. რა ალერსით, სითბოთი არის აღსავსე ხერლიას ძლიერი ხმა, რა გულში ჩამწვდომ ბგერებს პოულობს იგი ალფრედთან სცენაში, ჟერმონის ცნობილ არიაში! სწორედ ამ გულწრფელობამ, მომღერლის ბრწყინვალე ვოკალურმა ოსტატობამ მოხიბლა თბილისელი მსმენელი, რომელმაც მხურვალე ტაშით დააჯილდოვა იგი. ჟერმონის არია ხერლიამ განმეორებით შეასრულა.

„ტრავიატა" პირველი სპექტაკლია, რომლითაც საქართველოს საზოგადოებრიობა გაეცნო შესანიშნავი რუმინული ვოკალური სკოლის კიდევ ერთ წარმომადგენელს. ხერლიას საშემსრულებლო რეპერტუარი მეტად მდიდარია. დონ-ჟუანი, ფიგარო, სილვიო მომღერლის საყვარელი გმირებია. ჩვენ დიდი ინტერესით ველოდებით ამ შესანიშნავი ხელოვანის ახალ გამოსვლებს თბილისის ზ. ფალიაშვილის სახელობის ოპერისა და ბალეტის თეატრის სცენაზე.

**მ. რამიშვილი.**

**სურათზე:** სცენა სპექტაკლიდან. ჟერმონი—ბუქარესტის საოპერო თეატრის სოლისტი, საერთაშორისო კონკურსების ლაურეატი ნიკოლე ხერლია, ვიოლეტა — იულია იაგუნოვა.

ფოტო ბ. დადვაძისა.

# საზღვარგარეთ

## ვინც საზღვარს არღვევს...

**პრაღა**, 14 ნოემბერი. (საკდესი). როგორც ჩეხოსლოვაკიის დეპეშათა სააგენტო იუწყება, ჩეხოსლოვაკიის რესპუბლიკის საგარეო საქმეთა სამინისტრომ დღეს მტკიცე პროტესტი განაცხადა იმის წინააღმდეგ, რომ გერმანიის ფედერაციული რესპუბლიკის სამხედრო თვითმფრინავები განუწყვეტლივ არღვევენ ჩეხოსლოვაკიის საჰაერო სივრცეს. ერთ-ერთი ასეთი პროვოკაციის დროს დასავლეთ გერმანიის სამხედრო-საჰაერო ძალების ორმა რეაქტიულმა ავიაგამანადგურებელმა-ბომბდამშენმა, რომლებმაც ჩეხოსლოვაკიის საჰაერო სივრცე დაარღვიეს, განიცადა კატასტროფა ჩეხოსლოვაკიის ტერიტორიაზე.

საგარეო საქმეთა სამინისტროს განცხადებაში ხაზგასმით აღნიშნულია, რომ ჩეხოსლოვაკიის რესპუბლიკის მთავრობა იტოვებს უფლებას მოითხოვოს იმ ზარალის ანაზღაურება, რომელიც მიაყენა მას თვითმფრინავების აფეთქებამ და ამის გამო გაჩენილმა ხანძარმა.

## დემონსტრაცია ლონდონში

**ლონდონი**, 16 ნოემბერი. (საკდესი). „ადენაუერ, შეწყვიტეთ ანტიფაშისტების დევნა!". „ადენაუერ, გადააყენეთ ნაცისტი გენერლები!", „შეწყვიტეთ უმაღლეს დონეზე თათბირის საბოტაჟი!" — „მშვიდობის მომხრე ყოფილ სამხედრო მოსამსახურეთა მოძრაობის" წევრთა და მშვიდობისათვის ახალგაზრდა მებრძოლთა ჯგუფმა გუშინ ასეთი ლოზუნგებით გაიარა ჰაიდ-პარკისაკენ, სადაც გაიმართა მიტინგი, რომლის მონაწილეებმა პროტესტი განაცხადეს ლონდონში დასავლეთ გერმანიის კანცლერ ადენაუერის მომავალ ვიზიტთან დაკავშირებით.

## მშვიდობისა და თანამშრომლობის მოწოდება

**დელი**, 14 ნოემბერი. (საკდესი). ინდოეთის კომუნისტური პარტიის ეროვნული საბჭოს პლენუმზე, რომელიც ამჟამად მიმდინარეობს ქალაქ მირუთში, მიიღეს რეზოლუცია უმაღლეს დონეზე თათბირის მოწვევის შესახებ საკითხის გამო. რეზოლუციაში ნათქვამია: „ინდოეთის კომუნისტური პარტიის ეროვნული საბჭო მხურვალედ მიესალმება პრემიერ-მინისტრ ნიკიტა ხრუშჩოვის ვიზიტს ამერიკის შეერთებულ შტატებში, რომელმაც დასახა ახალი ფაზა საერთაშორისო დაძაბულობის შენელების საქმეში და მოაახლოვა „პერსპექტივები ცივი ომის დასასრულისა და სახელმწიფოთა შორის მჭიდრო თანამშრომლობის დასაწყისისა, რომლისკენაც მიისწრაფვის მთელი კაცობრიობა.

ეროვნული საბჭო გამოხატავს თავის სრულ მხარდაჭერას ხრუშჩოვ-ეიზენჰაუერის ერთობლივი განცხადებისადმი, რომელიც ავალდებულებს შეერთებული შტატებისა და საბჭოთა კავშირის მთავრობებს გადაწყვიტონ ყველა გადაუჭრელი საერთაშორისო საკითხები არა ძალის გამოყენების გზით, არამედ მშვიდობიანი საშუალებებით და მოუწოდებს დიდ სახელმწიფოთა შორის მოლაპარაკებებისაკენ.

რეზოლუციაში ხაზგასმულია, რომ აუცილებელია სასწრაფოდ მოეწყოს უმაღლეს დონეზე თათბირი, და შემდგომ ნათქვამია:

„ბლოკებისადმი, სამხედრო პაქტებისა და კავშირებისადმი შეუერთებლობის პოლიტიკამ, რომელსაც ინდოეთი ახორციელებს, მნიშვნელოვანი როლი შეასრულა იმპერიალისტურ სახელმწიფოთა სამხედრო გეგმების ჩაფუშვის საქმეში, მშვიდობიანი მოლაპარაკებების, განიარაღებისა და საერთაშორისო თანამშრომლობის მხარდაჭერის საქმეში. ინდოეთის კომუნისტური პარტიის ეროვნული საბჭო დიდად აფასებს წვლილს, რომელიც შეიტანეს ინდოეთის მთავრობამ და ხალხმა იმ საქმეში, რათა შეიქმნას ატმოსფერო უმაღლეს დონეზე თათბირის მოწვევისათვის.

ინდოეთის კომუნისტური პარტიის ეროვნული საბჭო დარწმუნებულია, რომ ინდოეთის მთავრობა და ხალხი კვლავ განაგრძობენ მოქმედებას ამ კეთილისმყოფელი პროცესის გაძლიერების მიმართულებით და გამოვლენ უმაღლეს დონეზე თათბირის მოწვევისა და წარმატების დასაცავად".

## საგაფიცვო მოძრაობა კაპიტალისტურ ქვეყნებში

◆ კენიის აფრიკელმა რკინიგზელებმა დაიწყეს სოლიდარობის გაფიცვა ქალაქ ნაირობის 5 ათასი გაფიცული აფრიკელი რკინიგზელის მხარდასაჭერად. გაფიცვა მოედო ბევრ დეპოს, რომლებიც მდებარეობენ რკინიგზის ხაზზე მომბასის საზღვაო ნავსადგურსა და კისუმუს შიდა ნავსადგურს შორის ვიქტორიას ტბაზე.

◆ 13 ნოემბერს ლონდონში გაფიცვა დაიწყო ათასამდე მუშამ, რომლებიც „შელ პეტროლეუმ კომპანის" ახალი შენობის მშენებლობაზე მუშაობენ. ეს გაფიცვა გამოცხადებულია იმის წინააღმდეგ პროტესტის ნიშნად, რომ დასახულია 152 მუშის დათხოვნა.

## ნ. ს. ხრუშჩოვს იწვევს ქალაქი გაპი

**პარიზი**, 15 ნოემბერი. (საკდესი). საფრანგეთში სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარის მომავალ ვიზიტთან დაკავშირებით ზემო ალპების დეპარტამენტის მთავარი ქალაქის გაპის მუნიციპალურმა საბჭომ მერის ემილ დიდიეს წინადადებით მიიღო გადაწყვეტილება სთხოვოს ნ. ს. ხრუშჩოვს ნახოს დეპარტამენტის ტერიტორიაზე არსებული სერ-პონსონის კაშხალი და ქალაქი გაპი.

## საბჭოთა კავშირ-მაროკოს სავაჭრო ურთიერთობისათვის

წარმატებით დამთავრებული მოლაპარაკების შედეგად, რომელიც მეგობრული ურთიერთგაგებისა და თანამშრომლობის ატმოსფეროში მიმდინარეობდა, ამა წლის 13 ნოემბერს რაბატში ხელი მოაწერეს ოქმს საქონელბრუნვის შესახებ სსრ კავშირსა და მაროკოს შორის 1959 წლის 1 ნოემბრიდან 1960 წლის 31 ოქტომბრამდე.

საბჭოთა კავშირი მაროკოს მიაწვდის მანქანებსა და მოწყობილობას, ნავთობსა და ნავთობპროდუქტებს, ხე-ტყის მასალებს, ქიმიურ საქონელს, ბამბის ქსოვილებსა და სხვა საქონელს.

იმ საქონელს შორის, რომელსაც მაროკო მიაწვდის სსრ კავშირს, არის ციტრუსები, ტყავნედლეული, მატყლი, კორპის ხის ქერქი, ნუში და სხვა საქონელი.

ოქმი ითვალისწინებს საქონელბრუნვის შემდგომ გადიდებას სსრ კავშირსა და მაროკოს შორის.



# უნგრელი მოჭიდავეები თბილისში

სპორტის სხვადასხვა სახეობათა შორის თავისუფალი ჭიდაობა უნგრეთში პოპულარობით სარგებლობს.

15 ნოემბერს უნგრელი მოჭიდავეები თბილისს ესტუმრნენ. 17 და 19 ნოემბერს ისინი აქ სახელმწიფო ცირკში გამართავენ საერთაშორისო ამხანაგურ შეხვედრებს ჩვენი რესპუბლიკის დედაქალაქის მოჭიდავეებთან.

გუშინ უნგრელმა მოჭიდავეებმა დაათვალიერეს თბილისის ღირსშესანიშნავი ადგილები, სტადიონები, დარბაზები, გაეცნენ ჩვენი რესპუბლიკის სპორტულ ცხოვრებას.

# სპორტის ამბები

ჭიდაობაში საერთაშორისო ფედერაციის ვიცე-პრეზიდენტმა და უნგრეთის სახელმწიფო მწვრთნელმა მატურა მიხაიმ ჩვენს კორესპონდენტთან საუბარში განაცხადა:

აქ, თბილისში, ისე ვგრძნობ თავს, როგორც სამშობლოში, სახლში. თბილისში მე ბევრი მეგობარი მყავს. ყოველთვის მოხიბლული ვიყავი და დღესაც ასევე ვრჩები ქართული სტუმართმოყვარეობით, გულთბილი დამოკიდებულებით, ყურადღებით. ეს მარტო ჩემი აზრი როდია. ამას იზიარებს ჩვენი სპორტული დელეგაციის ყველა წევრი.

ქართველ მოჭიდავეებს მსოფლიოს თითქმის ყოველ კუთხეში იცნობენ როგორც უბადლო ოსტატებს, შეუპოვარ მებრძოლებს, და რა გასაკვირველია, რომ ჩვენში, უნგრეთში, როგორც სპორტის კარგი ტრადიციის ქვეყანაში, მათ უკეთ იცნობენ ვიდრე სხვაგან. ისეთი შთაბეჭდილება შემექმნა, რომ თქვენთან ყოველი ახალგაზრდა ჯერ კიდევ ბავშვობის წლებში იძენს ჭიდაობის შესანიშნავ ჩვევებს, ეუფლება ოსტატობას.

აქ ჩამოვედით იმისათვის, რომ ვისწავლოთ თქვენგან, თბილისელი მეგობრებისაგან, მაგრამ ვეცდებით ჩვენი ოსტატობაც გიჩვენოთ.

საჭიდაო ხალიჩაზე ჩვენი გუნდი გამოვა შემდეგი შემადგენლობით: ა. პაგერი, ლ. გუნდეტი, გ. ჰოფმანი, დ. ტოტი, ი. ჯიბრიტია, გ. ხალოში, გ. გურიჩი, ი. რეზნაკი.

* * *

**სურათზე:** უნგრელი მოჭიდავეები თბილისის აეროდრომზე.

ფოტო ვ. ზარიძისა.

# ალბანეთის დედაქალაქში

## ტირანის განთავისუფლების მე-15 წლისთავი

დღეს 17 ნოემბერს სრულდება ფაშისტი ოკუპანტებისაგან ალბანეთის დედაქალაქ ტირანის განთავისუფლების 15 წელი. ეს მოვლენა ერთ-ერთი ყველაზე ბრწყინვალე ფურცელია ალბანელი ხალხის ეროვნულ-განმათავისუფლებელი ბრძოლის მატიანეში.

ტირანა შედარებით ახალგაზრდა ქალაქია. ომამდე მის ეკონომიკაში ბატონობდა ნახევრად შინამრეწველური წარმოება, მუშაობდა სულ მხოლოდ რამდენიმე პატარა საწარმო. განთავისუფლების შემდეგ ტირანა გახდა ალბანეთის პოლიტიკური, ეკონომიური და კულტურული ცენტრი. უმაგალითოდ შეიცვალა მისი სახე. დედაქალაქი სწრაფად იზრდება. ქალაქში აშენებულია და შენდება ახალი ქარხნები და ფაბრიკები, საცხოვრებელი უბნები, სკოლები, მუზეუმები, კინოთეატრები, საავადმყოფოები, საბავშვო ბაღები და ბაგები.

ტირანის დასავლეთ გარეუბანში, სადაც წინათ ჭაობი იყო, შენდება უდიდესი საწარმოს — ი. ბ. სტალინის სახელობის საფეიქრო კომბინატის კორპუსები. ეს კომბინატი ყოველ წელს გამოუშვებს 20 მილიონზე მეტ მეტრ ბამბის, შალისა და სხვა ქსოვილებს. მის გვერდით აშენდა ფეიქართა კეთილმოწყობილი დაბა. ამავე რაიონში აგებულია თბოელექტროსადგური, მინისა და ლითონდასამუშავებელი ქარხნები, ავეჯის ფაბრიკა. ტირანის გარეუბანში დაიტის მთის ძირას აშენებულია ვ. ი. ლენინის სახელობის ჰიდროელექტროსადგური.

ამჟამად გრძელდება კვების კომბინატის, დიდი მაცივრის, პურის ქარხნის, რადიოცენტრის, სანატორიუმის მშენებლობა. უახლოეს ხანში დაიწყება რძის კომბინატის, ცენტრალური ფოსტამტის, კულტურის სასახლისა და სხვა ობიექტების მშენებლობა.

სახალხო ხელისუფლების წლებში ტირანის მრეწველობის პროდუქციის მოცულობამ თითქმის 16-ჯერ გადააჭარბა ომამდელ დონეს.

ფართო მასშტაბით განვითარდა საბინაო მშენებლობა. 1958 წლის დამლევამდე ქალაქის მცხოვრებლებმა მიიღეს 5 ათასამდე ბინა. მარტო წელს საექსპლოატაციოდ გადაეცემა ათასზე მეტი ბინა. სამშენებლო ხარაჩოები შენდება ბარიკადების ქუჩაზე. სწრაფად მიმდინარეობს იმ ქუჩის რეკონსტრუქცია, რომელიც ქალაქის ცენტრს აკავშირებს ფეიქართა დაბასთან. დიდი მშენებლობა გაიშალა ახალი ტირანის რაიონში, სტალინის პროსპექტზე. სულ სხვა გახდება სკანდერბეგის ცენტრალური მოედანი კულტურის სასახლის მონუმენტური შენობის — ალბანელი ხალხისადმი საბჭოთა ხალხის ძმური საჩუქრის მშენებლობის დამთავრების შემდეგ.

დედაქალაქში კულტურული ცხოვრება ჩქეფს. განთავისუფლების შემდეგ ტირანაში მუშაობს კინოსტუდია „ახალი ალბანეთი", გახსნილია ოპერისა და ბალეტის თეატრი, დრამატული და საესტრადო თეატრები, კულტურის სასახლე და პიონერთა სასახლე, შექმნილია ხალხური სიმღერისა და ცეკვის ანსამბლი. 1957 წელს გაიღო ალბანეთში პირველი ტირანის სახელმწიფო უნივერსიტეტის კარი. ბევრი სპეციალისტი გამოუშვეს სასოფლო-სამეურნეო ინსტიტუტმა და ტექნიკუმებმა. ახლა დედაქალაქში სწავლობს 5-ჯერ მეტი სტუდენტი და მოსწავლე, ვიდრე ომამდე.

ტირანაში შექმნილია სამკურნალო დაწესებულებათა ფართო ქსელი, რომლებშიც მუშაობს მეტი ექიმი, ვიდრე იყო მთელ ალბანეთში მის განთავისუფლებამდე.

**ნ. ფილატოვი.**

ტირანა.

* * *



**სურათზე:** ტირანა. პედაგოგიური ინსტიტუტი.

# ჭადრაკის საათი

## ერევნის ნახევარფინალურ ჯგუფში

**ერევანი**. 15 ნოემბერი. დღეს ერევნის ფილარმონიის მცირე დარბაზში გაიხსნა სსრ კავშირის XXVII ჩემპიონატის ნახევარფინალური შეჯიბრება ჭადრაკში ვაჟთა შორის. აქ ფინალში გასვლისათვის იბრძვის 16 მოჭადრაკე. მათ შორის არიან გროსმაისტერები, ოსტატები, ოსტატობის კანდიდატები.

მონაწილეებს ასპარეზობის დებულება გააცნო შეჯიბრების მთავარმა მსაჯმა ნ. სოროკინმა (თბილისი), რის შემდეგ მოეწყო წილისყრა.

მოჭადრაკეებმა მიიღეს ასეთი ნომერაცია: 1. ე. მნაცაკანიანი (ერევანი, ოსტატი), 2. ა. გელერი (ლენინგრადი, ოსტატი), 3. ე. გელერი (ოდესა, გროსმაისტერი), 4. მ. შიშოვი (თბილისი, ოსტატი), 5. ვ. ზახარიანი (ერევანი, ოსტატობის კანდიდატი), 6. ბ. გურგენიძე (თბილისი, ოსტატი), 7. ი. კლოვანსი (რიგა, ოსტატი), 8. ი. ნიკოლაევსკი (კიევი, ოსტატი), 9. ი. ავერბახი (მოსკოვი, გროსმაისტერი), 10. ე. თათეოსიანი (ერევანი, ოსტატობის კანდიდატი), 11. ე. ჩუკაევი (კაუნასი, ოსტატობის კანდიდატი), 12. ა. კარაჯაევი (აშხაბადი, ოსტატობის კანდიდატი), 13. ბ. გოლდენოვი (მინსკი, ოსტატი), 14. ვ. ბაგიროვი (ბაქო, ოსტატი), 15. ს. ჰალილბეილი (ბაქო, ოსტატი), 16. ა. ბუსლაევი (თბილისი, ოსტატი).

**ერევანი**. 16 ნოემბერი. (ტელეფონით). გაიმართა საკავშირო ჩემპიონატის ერევნის ნახევარფინალის პირველი ტური. ბ. გურგენიძემ თავიდანვე უკეთესი პოზიცია მიიღო ე. ჩუკაევის წინააღმდეგ. მან განსაკუთრებით ძლიერად ჩაატარა პარტიის დასკვნითი ნაწილი და 38-ე სვლაზე პირველი გამარჯვება მოიპოვა.

ე. მნაცაკანიანის წინააღმდეგ სუსტად გაითამაშა დებიუტი ა. ბუსლაევმა, დაკარგა პაიკი, მიიღო ცუდი ენდშპილი და 48-ე სვლაზე დამარცხდა. ი. კლოვანსმა მოუგო ე. თათეოსიანს, ვ. ზახარიანმა — ა. კარაჯაევს.

მ. შიშოვს ბ. გოლდენოვთან გადადებულ პარტიაში პაიკი აკლია. გადადებულია აგრეთვე ა. გელერ-ს. ჰალილბეილის პარტია.

ე. გელერ-ვ. ბაგიროვისა და ი. ნიკოლაევ-ი. ავერბახის პარტიები არ შემდგარა.

17 ნოემბერს გაიმართება მეორე ტური.

## საქართველოს მოჭადრაკეები ლიპეცკში გაემგზავრნენ

ქალთა XXI საჭადრაკო ჩემპიონატი, რომლის ჩატარება ნავარაუდევი იყო სტალინგრადში, გადატანილია ლიპეცკში. პირველობის გახსნის საზეიმო ცერემონიალი და წილისყრა შედგება 20 ნოემბერს. შეჯიბრება 1 თვეს გაგრძელდება.

გარდა იმ მოჭადრაკეებისა, რომლებმაც დასკვნით ასპარეზობაში მონაწილეობის უფლება მოიპოვეს, ჩემპიონატზე პერსონალურად მიწვეული არიან ე. ბიკოვა, ო. რუბცოვა, კ. ზვორიკინა, ლ. ვოლპერტი, ნ. გაფრინდაშვილი. იმასთან დაკავშირებით, რომ 3 დეკემბერს მოსკოვში დაიწყება მსოფლიოს პირველობაზე მატჩი ე. ბიკოვასა და კ. ზვორიკინას შორის, ეს მოჭადრაკეები სსრ კავშირის პირველობის გათამაშებაში მონაწილეობას ვერ მიიღებენ.

საქართველოდან საკავშირო ჩემპიონატში, გარდა ნ. გაფრინდაშვილისა, გამოვლენ ე. კაკაბაძე და მ. ტოგონიძე.

გუშინ ნ. გაფრინდაშვილი, ე. კაკაბაძე, მ. ტოგონიძე და შეჯიბრების მთავარი მსაჯი ქ. გოგიავა ლიპეცკში გაემგზავრნენ.

# თბილისის სპორტულ ბაზებში

„დინამოს" სტადიონზე ორ დღეს გრძელდებოდა ძირეული ფიზკულტურული კოლექტივების ასპარეზობა მძლეოსნობაში თბილისის საშემოდგომო პირველობაზე. 15 ნოემბერს გაიმართა უკანასკნელი შეხვედრები. საერთო გუნდური პირველი ადგილი ქალთა და ვაჟთა კოლექტივებს შორის მოიპოვეს საქართველოს ფიზკულტურის ინსტიტუტის მძლეოსნებმა.

* * *

გლდანის ხაჭიდაო დარბაზში 15 ნოემბერს დამთავრდა საქალაქო შეჯიბრება ქართულ ჭიდაობაში თბილისის რაიონის სპორტსმენთა ნაკრებ გუნდებს შორის. ასპარეზობამ გლდანელთა დიდი ინტერესი გამოიწვია. შეჯიბრებაში გამარჯვებული გამოვიდა სტალინის რაიონის გუნდი. მეორე ადგილი დაიკავეს სამგორის რაიონის სპორტსმენებმა.

**რედაქტორის მოადგილე აკ. ჩავლეიშვილი.**


**საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის პალეობიოლოგიის ინსტიტუტი** აცხადებს კონკურსს **უფროსი მეცნიერი თანამშრომლის ვაკანტური თანამდებობის** დასაკავებლად: 1. პალეობოტანიკაში — 1 საშტატო ერთეული, მეცნიერებათა დოქტორი ან კანდიდატი. 2. უხერხემლოთა პალეობიოლოგიაში — 2 საშტატო ერთეული, მეცნიერებათა დოქტორი ან კანდიდატი.

კონკურსში მონაწილეობისათვის ინსტიტუტის დირექტორის სახელზე შემოტანილ უნდა იქნას განცხადება შემდეგი საბუთების დართვით (2 ცალად): კადრების აღრიცხვის პირადი ფურცელი ფოტოსურათით, ავტობიოგრაფია, უმაღლესი განათლების დიპლომის, მეცნიერული ხარისხის დიპლომისა და მეცნიერული წოდების ატესტატების ნოტარიალური პირები, დახასიათება მუშაობის უკანასკნელი ადგილიდან, მეცნიერულ შრომათა სია, მთავარ შრომათა ამონაბეჭდები და რეცენზიები მათზე.

**კონკურსის ვადაა 15 დღე** ამ განცხადების გამოქვეყნების დღიდან.

ინსტიტუტის მისამართი: თბილისი, შიო ჩიტაძის ქ. № 8, ტელეფონი 3-72-10.

**საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის ვახუშტის სახელობის გეოგრაფიის ინსტიტუტი**

აცხადებს კონკურსს უფროსი მეცნიერი თანამშრომლის 1 საშტატო ერთეულის დასაკავებლად ლანდშაფტმცოდნეობაში.

კონკურსში მონაწილეობის მსურველებმა უნდა წარმოადგინონ სათანადო საბუთები ორ-ორ ცალად ინსტიტუტის დირექციაში (თბილისი, შ. ჩიტაძის ქ. № 8, ტელ. 3-37-02).

**კონკურსის ვადაა ორი კვირა** დღიდან ამ განცხადების გამოქვეყნებისა.


## ტელევიზია

17 ნოემბერი

19.30 — „სტუმრად საქართველოს სასოფლო-სამეურნეო ინსტიტუტში" (გადაცემა, მიძღვნილი სტუდენტთა საერთაშორისო დღისადმი), 20.00 — სტუდენტთა თვითმოქმედების კონცერტი, 20.40 — კინონარკვევი „ქალაქი ეგერი", 21.00 — უკანასკნელი ცნობები, 21.15— კინოჟურნალი, 21.25 — ახალი მხატვრული ფილმი „რაზე ხმაურობს მდინარე".

## თბილისის თეატრებსა და კინოებში

17 ნოემბერი

**რუსთაველის სახელობის** — როცა ასეთი სიყვარულია, **გრიბოედოვის სახელობის** — ქვის ბუდე, **მუსიკალური კომედიის** — ტრფობის ბაღეში (სომხური დრამის თეატრში), **სანკულტურის**—არეული დღე, **მოზარდ მაყურებელთა ქართული** — კომბლე (აბონ. № 50, 7 ს.) **თოჯინების ქართული** — ჩექმებიანი კატა (11 ს.), ყურშა (4 ს.).

* * *

**რუსთაველის სახელობის**, ამირანი (საზამთრო), **ისანი**, **თბილისი**, **კომკავშირელი**, **26 კომისრის სახელობის** (პირველი დარბაზი), **საქართველო** (მწვანე დარბაზი), **პლეხანოვის სახელობის კლუბი** — მარტი,. **ამირანი** (საზაფხულო) — ტარიელ მკლავაძე, **სპარტაკი**, **26 კომისრის სახელობის** (მეორე დარბაზი), **საქართველო** (წითელი დარბაზი), **კოლხიდა**, **ჭავაძის სახელობის კლუბი** — სიყვარულის წლები, **გორკის სახელობის კულტურის სახლი**, **ოფიცერთა სახლი**, **თანამგზავრი**, **ორჯონიკიძის სახელობის კულტურისა და დასვენების ცენტრალური პარკი** — ცა გვეძახის, **ძერჟინსკის სახელობის კლუბი** — თავდასხმა, **ძერჟინსკის სახელობის კლუბი** (საზაფხულო) — ოქროს ეშელონი, **კოლმეურნე**, **დიდუბე** (საზამთრო), **კიროვის სახელობის პარკი** — კონდრაბანდისტები.


რედაქციისა და გამომცემლობის მისამართი: თბილისი, ლენინის ქ. № 14. ტელეფონები: რედაქტორის — 3-62-26, რედაქტორის მოადგილეების — 3-63-03, 3-82-05, 3-32-46, პასუხისმგებელი მდივნის — 3-72-80, სამდივნოსი — 3-81-65, განყოფილებებისა: პარტიული ცხოვრების და მარქსისტულ-ლენინური თეორიის პროპაგანდის — 3-81-84, მრეწველობისა და ტრანსპორტის, ადგილობრივი ინფორმაციის — 3-16-90, სოფლის მეურნეობის — 3-20-43, მეცნიერების, უმაღლესი და საშუალო სკოლების, ლიტერატურისა და ხელოვნების — 3-80-84, საბჭოთა მშენებლობის — 3-57-61, უცხოეთის ინფორმაციის — 3-80-83, წერილებისა და პარტბიუროსი — 3-73-24, საილუსტრაციო — 3-08-67, განცხადებების მიღების — 3-64-42, გამომშვების — 3-06-88.

უე 08009 საქართველოს კპ ცენტრალური კომიტეტის გამომცემლობის პოლიგრაფიული კომბინატი „კომუნისტი", ლენინის ქ. № 14.